ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

2 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის მესამე ტომი
8 ლარი




სამშაბათი, 2 ივლისი, 2013 №154 (6155) ფასი: 30 თეთრი

# კოკი იონათამიშვილი: „ამაზრზენი ხარ, მიშა!“



იონათამიშვილმა პარტიის დატოვებამდე რამდენიმე ხნით ადრე პრეზიდენტს 100 000 დოლარი სთხოვა გვ.3

## გია ცაგარეიშვილი: „ნაციონალები მკვდრეთით ველარ აღდგებიან“ გვ.2

ხაზინის ქურდების პარპაშის დრო ჩაბარდა წარსულს და საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს ის უბედურება, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ერქვა



## საპრეზიდენტო არჩევნები 31 ოქტომბერს დაინიშნა გვ.5

## ირინა სარიშვილი: „ივანიშვილის ხელისუფლება დიდ გაუგებრობაშია“ გვ.7





## საქართველოში უფულობით ადამიანები აღარ დაილუპებიან? გვ.6



დეპუტატებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა გვ.6 აჩვენეს



გელა კვაჭანტირაძე: გვ.4 „დავით ბაქრაძე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა“



პროკურატურამ ახალაიას, მელნიკოვისა და ჩხიტუნიძის ბრალდებაზე დადგენილება გამოაქვეყნა გვ.6

ISSN 1987-9385

4 „ბიოპლანი“ საქართველოში არ უნდა შემოვიდეს

6 საყოველთაო აღწერის პირველი ეტაპი დაიწყო

2 შსს-მ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით სამი პირი დააკავა

6 საქართველოს მთავარი პროკურორი სომხეთში გაემგზავრა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გია ცაგარეიშვილი: „ნაციონალები მკვდრეთით ველარ აღდგებიან“

შორენა გონგლაძე

„ნაციონალური მოძრაობის“ საკრებულოს შემადგენლობის მარტივ მამრავლებად დაშლით აღფრთოვანებას ვერ მალავს უმრავლესობის წარმომადგენლი გიორგი ცაგარეიშვილი, პარლამენტარი საკრებულოს ნაციონალური ფრთის გაოცნებებას და ამ კუთხით პროცესების აქტიურ ფაზაში შესვლას მიესალმება. როგორც ცაგარეიშვილმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, ნაციონალური მოძრაობის არსებობა წარსულს ჩაბარდება და მალე ყველაფერი ისტორიის კუთვნილება გახდება.

გია ცაგარეიშვილი საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მიერ პარტიის დატოვებასაც გამოეხმაურა. ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ მოხარულია იონათამიშვილის ამ გადაწყვეტილებით.

— რაც უფრო მალე დაიშლება უმრავლესობა საკრებულოში, მით უფრო უკეთესი თბილისელებისთვის. 48 მილიონი ლარი აღარ იქნება მოპარული არასოდეს თბილისის ბიუჯეტიდან და ასეთი უმსგავსობები აღარ მოხდება. ის უმრავლესობა, რომელიც იყო საკრებულოში, ამტკიცებდა ამ ბიუჯეტს და ისიც არის ირიბად პასუხისმგებელი იმაზე, რაც მოხდა, — ამბობს გია ცაგარეიშვილი.

ცაგარეიშვილი თვლის, რომ ის რაც ხდებოდა დედაქალაქის მერიაში, ამაზე პასუხისმგებლობა საკრებულომაც უნდა გაიზიაროს.

— საკრებულო არის ირიბად პასუხისმგებელი იმაზე, რაც მოხდა თბილისის მთავრობაში და მათაც უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა მითვისებულ 48 მილიონთან დაკავშირებით. იმ 50 ადამიანში საკრებულოს ის წევრებიც არიან, ვინც ბანკომატებს, როგორც ბანქოს ქაღალდებს, დაატარებდნენ ჯიბით. ბაქრაძე და უგულავა აღიარებდნენ, რომ მერია და მთელი საკრებულო შეზრდილი იყო „ნაციონალურ მოძრაობასთან“. თბილისის ბიუჯეტი ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ბიუჯეტი. ხაზინის ქურდების პარპაშის დრო ჩაბარდა წარსულს და საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს ის უბედურება, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ერქვა. იმიტომაც არის გაწიწმატებული ბატონი უგულავა, სად მიდის ყველა კვალი, თქვენ როგორ გგონიათ? მე არ ვიცი, ვის რა ბრალი დაუმძიმდება მომავალში, მაგრამ თევზი თავიდან ლპება და თავი ამ თევზისა არის ბატონი უგულავა, — აცხადებს ცაგარეიშვილი. გია ცაგარეიშვილის განცხადებით, მერიაში თანხების მასშტაბური დატაცება, გამორიცხულია გიგი უგულავას გარეშე.

— თევზი თავიდან ლპება. ამ თევზის თავი ამ ეტაპზე არის ბატონი უგულავა, ხოლო დაკავებული ადამიანები არიან ფარფლები ან სხვადასხვა კიდურები ამ თევზისა, რომლებსაც ავალებდნენ თანხის გამოტანას. მე არ გამიკვირდება, ერთ ბანკომატთან



უგულავას აღტაცებული სახე ვიხილოთ, რომელიც ტუჩებს ილოკავს იმის განცდით, რომ ქართველ ადამიანს ჰპარავს ფულს ჯიბიდან, — აცხადებს ცაგარეიშვილი. მისივე განცხადებით, მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნების დაკავების პროცესმა უხერხულობა მასაც შეუქმნა, მით უმეტეს, ნატო-ს დელეგაციის ვიზიტის პარალელურად.

— საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა და მთავრობა საგამოძიებო სტრუქტურებს არ კარნახობს იმას, ვინ როდის უნდა იყოს დაკავებული. არც ერთი დაკავება აღარ იქნება პოლიტიკური კონიუნქტურის ნაწილი. საგამოძიებო სტრუქტურები ავტონომიურად მოქმედებენ, — აცხადებს ცაგარეიშვილი.

ცაგარეიშვილის განცხადებით, ვინც არ უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ რჩეული საპრეზიდენტო არჩევნებში, მას გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს.

— ვერაფერი „ნაციონალურ მოძრაობას“ ვერ აღადგენს მკვდრეთით, — აცხადებს ცაგარეიშვილი.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს უპირისპირდებიან ან კრიმინალები, ან მათი დამცველები. ცაგარეიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერში მონაწილე პირებზე დეტალურად საუბრობს.

მისი თქმით, დავით ბაქრაძემ დაანგრია და გაანადგურა საქართველოს პარლამენტი, რომლის დარბაზების აღდგენა ახლა 13 მილიონი ჯდება. გია ბარამიძემ კი გაანადგურა ოჯახი სვანეთში. რაც შეეხება შოთა მალაშხიასა და ზურაბ ჯაფარიძეს, ცაგარეიშვილის თქმით, ისინი მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ხელს აფარებდნენ იმ უბედურებას, რაც ქვეყანაში ხდებოდა.

— მათ აქვთ კი იოტისოდენა შანსი, რომ მარგველაშვილს წინააღმდეგობა გაუწიონ? მათ აქვთ შანსი, რომ ამ ქვეყანას, რომელიც ახლა იწყებს მუხლებიდან ადგომას, სათავეში ჩაუდგნენ და ისევ მოატრიალონ ის დრო, როცა კაცებს აუპატიურებდნენ და შემდეგ მალავდნენ კასეტებს? ეს აღარ გამოვა, ამას აღარ ჭამს ქართველი ხალხი. მე არ ვამბობ იმას, რომ ახალი ხელისუფლება შეუცდომელია, მაგრამ გამორიცხულია, ჩვენ ასეთი დანაშაული ჩავიდინოთ კაცობრიობის წინაშე. ჩვენ არ გავაკეთებთ იმას, რომ ყველაფრის ფასად შევინარჩუნოთ ძალაუფლება, — აცხადებს ცაგარეიშვილი.

გია ცაგარეიშვილი გამოეხმაურა შოთა მალაშხიას განცხადებასაც იმის შესახებ, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ, „ქართული ოცნების“ რეიტინგი იმდენივე იყო, რამდენიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ახლა აქვს. ამიტომ შესაძლოა „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი არჩევნებამდე გაიზარდოს.

— ქართული ოცნება ამ დროს არ იყო დაკავებული ხალხის ხოცვა-ჟლეტით, ხაზინის ქურდობით, ადამიანების ცოცხებით გაუპატიურებით და კადრებიც ჩვენ არ დაგვიმარხავს სამეგრელოს ტყეებში. ჩვენ დავდიოდით კარდაკარ და ადამიანებს ვუხსნიდით, რა უბედურებაა მიხეილ საკაშვილი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად. ჩვენ არ ვაწამებდით ადამიანებს, არ ვაუპატიურებდით ცოცხებით და კადრებს არ ვინახავდით. ამიტომ, რეიტინგის რაიმე სახით ცვლილება წარმოუდგენელია. ჩვენ წინასაარჩევნოდ ადამიანებს ვუხსნიდით, რა უბედურება იყო სააკაშვილი. „ნაციონალურ მოძრაობას“ მკვდრეთით ველარაფერი წამოაყენებს. ძალიან მიკვირს, რომ ჩადენილი დანაშაულებების გამო მონანიებასაც კი არ გამოთქვამენ. ბაქრაძეს აქვს მცდელობები, თუმცა უმნიშვნელო. მე პირადად პროცესს, რომელსაც გოგორიშვილი, წერეთელი, წიკლაური და ძმანი მისნი ხელმძღვანელობენ, ვერ დავაფასებ, — აცხადებს ცაგარეიშვილი.

## ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, დღეს, სომხეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, შს მინისტრი შეხვედრას გამართავს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანთან.

ირაკლი ღარიბაშვილი ასევე შეხვდება სომხეთის რესპუბლიკის პო-



ლიციის უფროსს, ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის უფროსს და საგანგებო სიტუაციების მართვის მინისტრს.

შეხვედრაზე მხარეები, სამართალდამცავ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის

საკითხებს განიხილავენ. საუბარი შეეხება ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ რეფორმებს და ამ მიმართულებით დაგეგმილ სხვა ღონისძიებებს.

ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში, 2 ივლისს დასრულდება.

ნიუსპრესი

## ირაკლი ალასანია ოფიციალური ვიზიტით ლიტვაში გაემგზავრა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, გუშინ ოფიციალური ვიზიტით ლიტვის რესპუბლიკაში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ალასანია შეხვედრას ლიტველ კოლეგასთან იუზას ოლეკასთან გამართავს.

მინისტრები თავდაცვის სფეროში, ორმხრივ, განახლებული თანამ-



შრომლობის ხელშეკრულებასაც გააფორმებენ.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, იგეგმება ქართული დელეგაციის წევრების შეხვედრა ლიტვის პარლამენტის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან არტურას პაულაუსკასთან და კომიტეტის წევრებთან.

თავდაცვის მინისტრი ასევე, ლიტვის სამხედრო აკადემიასაც ესტუმრება და მის ხელმძღვანელთან გამართავს შეხვედრას.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ალასანია სემინარში — „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ მიიღებს მონაწილეობას და პირველ პანელში — „ევროკავშირი, როგორც მეზობელ რეგიონში უსაფრთხოების გარანტი,“ სიტყვითაც გამოვა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ლიტვის რესპულიკაში 3 ივლისს დასრულდება.

ნიუსპრესი

## რიჩარდ ნორლანდი: „ამერიკის შეერთებული შტატები საპრეზიდენტო არჩევნებს ყურადღებით დააკვირდება“

ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით მიადევნებს თვალს საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოში. ამის შესახებ შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა, გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ განაცხადა, სადაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა სახალხო დამცველისგან



2012 წლის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

„ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე როგორც ევროპა და საერთაშორისო ორგანიზაციები, ყურადღებით დააკვირდება არჩევნებს საქართველოში. ეს თქვენი ქვეყნისთვის, დემოკრატიული განვითარების გზაზე კიდევ ერთი ტესტი იქნება და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტესტს ქვეყანა წარმატებით ჩააბარებს“-განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

ნიუსპრესი

## შსს–მ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით სამი პირი დააკავა




შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად,წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირები: ბაკურ ბ., ილია ს., და თორნიკე ჯ., ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, სამეგრელოსა და იმერეთში ერთდროულად დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა,რომ დაკავებულები აღიარებენ ე.წ.ქურდულ სამყაროს,ამ სამყაროს წესების დაცვით მონაწილეობდნენ ე.წ. ქურდულ გარჩევებში,დავალებებს იღებდნენ ე.წ.“კანონიერი ქურდებისაგან“,თავის მხრივ კი, შესაბამის მითითებებს აძლევდნენ ქურდული სამყაროს სხვა წევრებსა და მათი გავლენის ქვეშ მყოფ პირებს.

გამოძიების ინფორმაციით,ბრალდებულებს კავშირი ჰქონდათ ე.წ. „ქურდული სამყაროს“ მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ პირებთან, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე, სსსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## საჩხერის სამთო მომზადების სკოლა 7 წლისაა

გუშინ, საჩხერის სამთო მომზადების სკოლამ დაარსებიდან 7 წლის იუბილე აღნიშნა. საზეიმო ცერემონიალი სამთო სკოლის სამწყობრო მოედანზე გაიმართა. ღონისძიებას გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია, განათლების სარდალი, ვიცე-პოლკოვნიკი შალვა ბაჯელიძე, დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი ბესო გოფოძე და სხვა მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები დაესწრნენ.

საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ყოფილ მეთაურებს, პოლკოვნიკ ალექსი კეკელიას, ვიცე-პოლკოვნიკებს ვასილ კოპეიკინს და მალხაზ მერლანს იუბილესთან დაკავშირებით მადლობის სიგელები გადაეცათ.

გუშინვე, საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში საბაზისო სამთო მომზადების ზაფხულის კურსი დაიწყო. კურსზე მოწვეულია უკრაინის, სომხეთის, იორდანიისა და ეგვიპტის 18 სამხედრო მოსამსახურე. წვრთნები 19 ივლისამდე გაგრძელდება და კურსის განმავლობაში უცხოელი პარტნიორები სამთო-ტექნიკურ უნარ-ჩვევებს დახვეწენ.

საბაზისო სამთო მომზადების ზაფხულის კურსის განმავლობაში უცხოელი სამხედროები პირველ ეტაპზე ინსტრუქტორების დახმარებით შეასრულებენ სხვადასხვა სამთო-ტექნიკური ამოცანებს. სწავლების ბოლოს კი დამოუკიდებლად სპეციალურ ტესტებს ჩააბარებენ. კურსის განმავლობაში კადეტები მთაში და მაღალ მთაში გადაადგილების პრინციპებს, მდინარეებისა და ხეობების გადალახვის ტექნიკას, ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და ევაკუაციის ტექნიკურ მეთოდებს შეისწავლიან.

სწავლების დასრულების შემდეგ წარმატებულ კურსდამთავრებულებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცემათ. საბაზისო სამთო მომზადების ზაფხულის კურსის დასრულების შემდეგ კურსზე მოვლინებულ უცხოელ პარტნიორებს შესაძლებლობა ეძლევათ საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში ზაფხულის და ზამთრის შემდგომი ეტაპის კურსები გაიარონ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კოკი იონათამიშვილი: „ამაზრზენი ხარ, მიშა!“

## იონათამიშვილმა პარტიის დატოვებამდე რამდენიმე ხნით ადრე პრეზიდენტს 100 000 დოლარი სთხოვა

შორენა მარსაგიშვილი

მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ამაყად ამბობენ, რომ მათი ნაფერები პარტია პოლიტიკიდან არ გაქრება. არადა, პარტიაში ისეთი ამბები ტრიალებს, შესაძლოა მალე ხუთიანის შემომხაზავიც არავინ დარჩეს.

ნაციონალურ მოძრაობას საქმე ვეღარც თბილისის საკრებულოში აქვს კარგად. გუშინდლამდე ისინი საკრებულოს უმრავლესობაში იყვნენ. შავმა ორშაბათმა კი მათ ესეც ხელიდან გამოაცალა. ნაცმოძს ზურგში მახვილი კოკი იონათამიშვილმა ჩასცა. ჯერ კიდევ წინა კვირას მგზნებარე ნაციონალმა პარტია დატოვა. ამის თაობაზე მან საგანგებო განცხადება სისხამ დილით გაავრცელა.

— საზოგადოებას მსურს ვაცნობო, რომ მივიღე გადაწყვეტილება პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დატოვების შესახებ, რადგან უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულმა პროცესებმა, ჩემდა სამწუხაროდ, დამარწმუნა, რომ პარტია ვერ უმკლავდება მის წინაშე მდგარ ამოცანებს. მიუხედავად ჩემი მოლოდინისა, არ მოხდა მისი ტრანსფორმირება და განახლება და საბოლოო ჯამში, იგი აღარ წარმოადგენს უკეთესი საქართველოსთვის ბრძოლის ინსტრუმენტს. პარტიის ხელმძღვანელობის მხრიდან დაშვებულმა სავალალო შეცდომებმა აბსოლუტურად შეუძლებელი გახადა ზოგადი თუ კონკრეტული ამოცანების მიღწევისათვის პარტიული პლატფორმის გამოყენება. თბილისის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის წევრები და მერიის თანამშრომლები უმეტესწილად აბსოლუტურად უსამართლო პოლიტიკური დარტყმების და შეფასებების მსხვერპლი ხდებიან. ხშირად მიფიქრია, რომ ამ ადამიანებს არაფერი არ აქვთ საერთო არც დაშვებულ შეცდომებთან და დანაშაულებებთან და, სამწუხაროდ, არც დღეს არსებულ პარტიულ მმართველობასთან, ხოლო მათ მიმართ განხორციელებული პოლიტიკური დევნა როგორც სამართლებრივ, ასევე ელემენტარული გონიერების ჩარჩოებს სცილდება. აქვე მინდა დავძინო, რომ არ ვაპირებ არანაირი სახით მონაწილეობის მიღებას „ქართული ოცნების“ მხრიდან დაანონსებულ საკრებულოს საკადრო ცვლილებებში, — იუწყება აწ უკვე ყოფილი ნაციონალი.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მხრიდან უკვე აღიარებულია, რომ პარტიის მმართველობის პერიოდში ხდებოდა უკანონო ვიდეომასალების გადაღება და დაარქივება.

— რაოდენ კეთილშობილურ მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ესა თუ ის კონკრეტული ქმედება თუ ნაბიჯი, საზოგადოება თანხმდება, რომ მიზანი არასდროს არ ამართლებს ყველა საშუალების გამოყენებას. ცალსახაა, რომ სწორედ სასამართლომ უნდა განსაზღვროს სამართლებრივი პასუხისმგებლობა და გამოუტანოს განაჩენი ყველა იმ პირს, ვინც მონაწილეობდა ამ არაადამიანურ ქმედებებში, — მიიჩნევს იონათამიშვილი.

თავის წერილში ის ნაციონალების მიღწევებზეც საუბრობს და წუხს, რომ ყოფილი სახელისუფლებო გუნდი ვითარებას სწორად ვერ აფასებს. ნაცმოძიდან წამოსული დეპუტატი არც პასუხისმგებლობას გაურბის.

— ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, შემცირდა კრიმინალი, უსაფრთხო გახდა მოქალაქეთა ყოფითი ცხოვრება, კორუფცია აღარ იყო ცხოვრების წესი, ფაქტიურად ნულიდან შეიქმნა თავდაცვის უწყება, მაქსიმალური დაახლოება მოხდა ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან. თუმცა, სწორედ წლების განმავლობაში სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან მიღწეული წარმატება და სააკაშვილის მაღალი რეიტინგი აღმოჩნდა წინაპირობა იმისა, რომ ყველა ეს ინსტიტუცია, მეტად თუ ნაკლებად, დახურულ სისტემად ჩამოყალიბებულიყო და ამა თუ იმ გადაცდომის ან თუნდაც დანაშაულის ჩადენა შესაძლებელი გახადა. არ არსებობდა ან არ იყო ეფექტური სამოქალაქო, საპარლამენტო, უწყებრივი კონტროლი ამ სტრუქტურების საქმიანობაზე. მე სრულად ვიზიარებ პასუხისმგებლობას ყველა იმ ფაქტზე, რომელმაც შეურაცხყო და დაამცირა კონკრეტული ადამიანები და მათი უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად პასუხისმგებლობა სწორედ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ძევს, მინდა აქვე აღვნიშნო, რომ არც სამოქალაქო სექტორს და ოპოზიციას გააჩნდა საკმარისი კომპეტენცია და ნდობა იმისათვის, რომ ეს საკითხები აქტუალური გაეხადა.

დღეისათვის ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ვერ ხერხდება ვითარების სწორი შეფასება და შესაბამისი ქმედებები. 19 აპრილს დაანონსდა ახალი ეროვნული მოძრაობის დაფუძნება. ნაცვლად იმისა, რომ დავახლოებოდით ყველა ევროპული ფასეულობის მქონე პარტიასა თუ სამოქალაქო ჯგუფს (რაც ცხადია, რთული პროცესი იქნებოდა), მივიღეთ კიდევ უფრო მეტად ჩაკეტილი პარტიული ორგანიზმი, რომელიც გაუგებარი ინსტინქტებით მოქმედებს.

ვთვლი, რომ სააკაშვილმა მოახდინა ურთულესი რამ — 2008 წლის ომის შემდგომ, მიუხედავად რუსეთის გამალებული მცდელობისა საქართველო მოექცია პოლიტიკურ იზოლაციაში და დარჩენილიყო მასთან პირისპირ, მან შეძლო საქართველო ნატოს, ამერიკის, ცივილიზებული სამყაროს განსაკუთრებულ პარტნიორად დაეფიქსირებინა. ნელა, მაგრამ შესამჩნევად დაიწყო ზრდა ეკონომიკამ. თუმცა, ამავე დროს ცალსახაა, რომ მიუხედავად ამისა, პირველ რიგში, სწორედ მის პასუხისმგებლობას წარმოადგენს დახურული ინსტიტუციების არსებობა, რაც თავის მხრივ გახდა ყველა იმ გადაცდომის თუ დანაშაულის საფუძველი, რომელმაც ზიანი მიაყენა საზოგადოებას და დააკნინა ის მიღწევები და სიკეთეები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში იმავე სტრუქტურების მხრიდან იქნა მოპოვებული, — წერს იონათამიშვილი.

თავის წერილში იონათამიშვილმა „ქართული ოცნება“ რამდენჯერმე დაგმო. მისი თქმით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მმართველი გუნდის ქმედება.

— იმის მაგივრად, რომ ეცადათ მაინც ოცნებების ახდენა და დანაპირების შესრულება, დაკავებული არიან მხოლოდ იმით, რომ დევნიან და ცდილობენ გაანადგურონ განსხვავებული აზრი, რომლის მთავარ სავანეს, მათი გაგებით, სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს. ახალი ხელისუფლება არ აღიარებს არანაირ წარმატებას და მიღწევას, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოხდა. ამგვარი შეფასება ვინმეს გულის მოსაფხანად კი არ არის საჭირო, არამედ საზოგადოების გამთლიანებისკენ გადადგმულ რეალურ ნაბიჯად იქნებოდა აღქმული. პროცესებისადმი მმართველი გუნდის ასეთი მიდგომა იწვევს საზოგადოების პოლარიზაციას და ამასთანავე, ასეთი არაადეკვატური დამოკიდებულება ძირშივე კლავს ცივილიზებული პოლიტიკური პროცესის და დიალოგის არსებობის შესაძლებლობას.

არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ ეს ფარული ჩანაწერები ადრეც იყო ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის და იგი იქნა გამოყენებული მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ყველაზე მეტად დასჭირდა ხელისუფლებას, რათა გადაეფარა ის ათეულობით კატასტროფული ჩავარდნა, რომელიც მან უკვე მოახერხა 9-თვიანი მმართველობის დროს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: რაფალიანცის გაუხსნელი საქმე — ამ ახალშობილი ბავშვის სიკვდილით ამაზრზენი პოლიტიკური მანიპულირება; მოსამართლის თანაშემწის იძულების მცდელობა მოსამართლეზე ფარული ჩანაწერის განხორციელების შესახებ; პოლიციის მაღალჩინოსნის მიერ ახალგაზრდის მკვლელობის მცდელობა და შსს-ს მხრიდან ამ ფაქტის მიჩქმალვა და ამ მიზნით საბუთების გაყალბება; პატიმრის გარდაცვალება საეჭვო გარემოებაში და ამ ფაქტის დაფარვის მცდელობა; ე.წ. ალქაიდის ვიდეოების ვერ და არ გამოძიება; შსს მინისტრის მოადგილის დაკავების ფარსი ფარული ჩანაწერების გავრცელების გამო და მისი 5000 ლარად გათავისუფლება; ბედუკაძისთვის მთავარი პროკურორის მხრიდან უპრეცედენტო აქტის — ბრალეულობის მოხსნის განხორციელება. ამას ემატება სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაცია — პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორიდან 42.000 სამუშაო ადგილის დაკარგვის და ასევე ეკონომიკური ზრდის შეჩერების შესახებ და ამერიკელი კონგრესმენების ისტორიულად ყველაზე კრიტიკული რეზოლუცია. ამ ფონზე, ვიღას ახსოვს დაპირებული 200 ლარიანი პენსია ან ბენზინის ფასის ლარამდე შემცირება.

„ქართულ ოცნებაში“ ინტელექტუალური და პოლიტიკური რესურსის აშკარა დეფიციტია, მათ არ ძალუძთ გაუმკლავდნენ ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს. საგარეო პოლიტიკა, მიუხედავად დეკლარირებული პროევროპულობისა, უამრავ ეჭვსა და კითხვის ნიშანს ბადებს, ხორციელდება ქმედებები, რომლებიც რუსული პოლიტიკური ორბიტის ქვეშ დატოვებას უწყობს ხელს. მიღებულია ან დაგეგმილია მხოლოდ პოპულისტური და საბოლოო ჯამში არაფრის მაქნისი გადაწყვეტილებები ეკონომიკაში, განათლებაში, ჯანდაცვაში და ყველა სხვა მიმართულებით. ეკონომიკა პრობლემებს განიცდის, სახეზეა კრიმინალის ზრდა. ქვეყნის იმიჯი და საერთაშორისო ავტორიტეტი დღითიდღე ეცემა. ეს იწვევს ტურიზმის შემცირებას და საბოლოოდ ეკონომიკის ვარდნას და რაც კიდევ უფრო სავალალოა, ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდან ინტერესის შემცირებას, ეს კი, თავის მხრივ, პირდაპირი და უმოკლესი გზაა რუსეთის გავლენაში დარჩენისაკენ.

პოლიტოლოგები გვარწმუნებენ, რომ საჭიროა, ორჯერ მაინც ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა, რომ პროცესები ჯანსაღი და სტაბილური გახდეს. მართალია... ერთხელ ხელისუფლების გადაცემა ამისთვის საკმარისი არ ყოფილა. ის ძალა, ვინც მომავალში გაიმარჯვებს, დაინახავს და გაანალიზებს იმ წარმატებებს და შეცდომებს, რომლებსაც უშვებდა „ნაციონალური მოძრაობა“ და რომელსაც უშვებს დღეს „ქართული ოცნება“. რადგან არ გვეყო გონიერება მიგვეღო ლუსტრაციის კანონი, გამოგვეძიებინა და შეგვეფასებინა 1991-92 წლის მოვლენები, გვეწარმოებინა ობიექტური, სამართლიანი საკადრო პოლიტიკა, არ განგვეხორციელებინა პოლიტიკური დევნა სხვა პარტიების მიმართ, არ გაგვეცა არარეალური დაპირებები, მხოლოდ იმის იმედიღა დაგვრჩენია, რომ ეს თუ სხვა სავალალო შეცდომები კარგი გაკვეთილი იქნება მომავალი ხელისუფლებისთვის. დღეს პოლიტიკაში გამეფებულია სიძულვილის ენა. პოლიტიკოსებმა უნდა ეძიონ გზები ადამიანების გულებისაკენ და ეს გზები გადის მხოლოდ ღია, პატიოსან, ხშირად არაპოპულარულ გადაწყვეტილებებზე და არა ხელოვნურად შექმნილ ე.წ. მესიჯბოქსებზე, გაუგებარ კონიუნქტურაზე ან თავის გადარჩენის ინსტინქტზე. ვითარება რთულია, მაგრამ არა გამოუვალი. პათეტიკის დრო ნამდვილად არ არის, მაგრამ ღრმად მჯერა, რომ გამოსავლის წინაპირობაა ყველა პროგრესზე ორიენტირებული, დასავლური ღირებულებების მქონე პარტიის, გაერთიანების, საზოგადოების ცალკეული წევრების მხრიდან ერთმანეთის პარტნიორად აღქმა და ეს პროცესი უკვე დღეს უნდა დაიწყოს, — აცხადებს ნაციონალების დამაქცევარი იონათამაშვილი.

იონათამიშვილის გადაწყვეტილებას მეოცნებეები სიხარულით შეხვდნენ. ბევრმა ცნობადმა მეოცნებემ განაცხადა, ჯერ სად არიან, მაგათი დაშლა ახლა იწყებაო. ნაციონალები მომხდარის გამო კარგ ხასიათზე, ბუნებრივია, ვერ იქნებიან. განსაკუთრებით ქალაქის თავი გიგი უგულავაა გამწარებული. მისი განცხადებით, კოკი იონათამიშვილის გადაწყვეტილება არასწორი და მორალთან მწყრალია.

* * *

### იონათამიშვილის წერილი პრეზიდენტს

ნაციონალებისთვის დედაქალაქის საკრებულოში უმრავლესობის დაკარგვა საკმაოდ დიდი მარცხია. ეტყობა, ამან პრეზიდენტიც გაამწარა. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ გაასაჯაროებდა იმ წერილს, რომელიც ცოტა ხნის წინ იონათამიშვილმა მიხეილ სააკაშვილს მისწერა. ამ წერილის თანახმად, საკრებულოს დეპუტატი ქვეყნის პირველ პირს 100 ათას დოლარს სთხოვს. „ახალი თაობა“ გთავაზობთ ამ წერილს.

— ბატონო პრეზიდენტო, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მოგმართავდით ასეთ კერძო და პრივატულ თემაზე. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ასე გავკადნიერდებოდი, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. საოცრად გაფასებთ, მაგრამ ამ წერილში ამაზე არ გამომივა საუბარი. მინდა, გითხრათ, რომ არ ვთვლი, რომ რაიმე ისეთი მაქვს გაკეთებული, რომ ასე მომემართა თქვენთვის, მაგრამ რაც არის არის, წერაც მიმძიმს და პირადად ამის თქმას საერთოდ ვერ მოვახერხებდი. მოკლედ, პრობლემა მაქვს, ისეთი, როგორც ბევრს, არაფერი ორიგინალური. ვალებმა, რომ იტყვიან, დამახრჩო. მსურს გთხოვოთ დახმარება — ისეთი პრობლემური გარემო მაქვს, რომ გავკადნიერდი და მოგმართეთ. თუ თქვენ შეგიძლიათ, მიშუამდგომლეთ რომელიმე ბიზნესმენთან, მე მაქვს წილი ერთ „ბიზნესში“, რომელსაც რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა, ვერ ვყიდი და თუ ვინმე შუამდგომლობის ხარჯზე დამეხმარებოდა, ჩემთვის ეს, არც კი ვიცი რა სიტყვა შევარჩიო, უპირობო გამოსავალს და გადარჩენას ნიშნავს. ეს „ბიზნესი“ ცუდი არ არის, მაგრამ დღეს მხოლოდ თქვენი შუამდგომლობის ხარჯზე თუ დაინტერესდება ვინმე თუ, რა თქმა უნდა, ამ თავხედობას შემინდობთ და დამეხმარებით, არც კი ვიცი რა სიტყვები შევარჩიო, ეს ჩემი გადარჩენა იქნება. არ მინდა, სიტყვებით დაგტვირთოთ, ისედაც ძალიან თავხედურად ვიქცევი. რაღაცეებში უბრალოდ სასტიკად არ გამიმართლა, გიგიმ ნაწილობრივ იცის ეს პრობლემები და რამდენჯერმე დამეხმარა კიდეც, რის გამოც, მისი უზომოდ მადლობელი ვარ, მაგრამ საბოლოო მოგვარება არ გამომივიდა. ჩემს პრობლემებთან გამკლავების სულ ოდნავი საშუალება რომ დამრჩენოდა, არ შეგაწუხებდით, თუმცა ჩემზე მეტი პრობლემა რომ აქვს უამრავ ადამიანს, ესეც გასაგებია. თუ თქვენ ჩემს თხოვნას ყურად იღებთ, ქვემოთ დავწერ რა ბიზნესი მაქვს კონკრეტულად და რა თხოვნა, თუ არადა, არა უშავს. მეტის უფლება ნამდვილად არ მაქვს. ძალიან მაგარი და გამორჩეული პრეზიდენტი გვყავხართ და ხალხი ამას ხვალ და ზეგ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით შეიგრძნობს, ვიდრე ოდესმე ეს იყო (ფორმალური და ოფიციალური წერილი გამომივიდა, მაგრამ ახლა სხვაგვარად არც კი ვცდილობ, რომ გამომივიდეს, ალბათ, კიდევ ბევრი რამის თქმა მინდა, ზოგადადაც, მაგრამ ახლა ის დრო არ არის). ვალში არ დაგრჩებით. ისიც მესმის, რომ იმდენად რთულ რამეს გთხოვთ, რომ თქვენი სურვილის შემთხვევაშიც შეიძლება, დახმარება არ გამოვიდეს. ბოდიშს გიხდით, რომ ასე დაგტვირთეთ, ამ წერილს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, ვიცი.

მე მაქვს წილი ფირმა „საბურთალო 2007-ში — 2 %. ამ ფირმას აქვს საკუთარი შენობა, რომელიც განთავსებულია ტექნიკის ჰიპერმარკეტში „გალაქსი“, პეკინის 46-ში. „გალაქსი“ ქირაობს ფართს ჩვენგან, აქვს 15 წლიანი იჯარა. ყოველთვიურად ვიღებ ათას დოლარზე მეტს ჩემს წილად. შენობის ფართია 5000 კვ.მ. სარდაფის ჩათვლით. სხვა მეწილეებმა ახლა წილი ვერ იყიდეს. წილის გაყიდვა, ორივე პროცენტის დათმობა ჯამში მსურს, 100 000 დოლარი, — აღნიშნულია იონათამიშვილის წერილში.



მისი წერილის განსაჯაროებას კოკი იონათამიშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა. ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

— გაოგნებული ვარ მიხეილ სააკაშვილის მხრიდან წერილის გამოქვეყნების გამო. ცალსახად მინდა დავადასტურო, რომ სააკაშვილს, მას შემდეგ რაც ორჯერ ვიმყოფებოდი მასთან ერთად საერთაშორისო დელეგაციაში ნამდვილად მივმართე წერილობით, მაგრამ არა ამ შინაარსით და არა ამ საკითხზე. აქვე ვადასტურებ, რომ როგორც მას, ასევე სხვა მაღალჩინოსნებსაც, რომლებთანაც გარდა საქმიანი, ასევე ადამიანური ურთიერთობებიც ჩამოყალიბდა, ნამდვილად ქონდათ ინფორმაცია, ჩემს ფინანსურ საკითხებზე, ვგულისხმობ ინფორმაციას ჩემი კრედიტის ან ერთადერთ ფირმაში ჩემი წილის არსებობის შესახებ (მით უმეტეს, რომ ეს ინფორმაცია საჯაროა). წერილის შინაარსის გამხელას არც დღეს ვაპირებ, მაგრამ ამასთანავე აუცილებლად მივიჩნევ განვმარტო თუ რა მიზეზები უდევს ჩემს წინააღმდეგ ამ წუთას დაწყებულ კამპანიას.

ამ კამპანისს სახელია, შიში.. შიში იმისა, რომ არ დაიკარგოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გავლენა თბილისის საკრებულოზე და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ზოგადად „ნაციოანალურმა მოძრაობამ“ კიდევ უფრო ინტენსიურად არ გააგრძელოს კრიზისში შესვლა. მიხეილ სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების უმეტესობა თავიდან ბოლომდე სოლიდარულია ჩემს მიერ დღეს გაკეთებულ განცხადებასთან და მისი მხრიდან ასე პირდაპირ წარმოებული შანტაჟი შეაჩერებს რღვევის პროცესს. მას არ სურს, რომ საზოგადოებამ დაიჯეროს — ჩემი პარტიიდან წასვლის მიზეზები არის ის ფუნდამენტალური შეცდომები რაც მან და პარტიამ დაუშვა და არა ნებისმიერი სხვა გარემოება, მაგრამ ეგ უკვე აღარ გამოგდის მიშა, აღარ.

მე ვიყავი ბოლო წუთამდე სოლიდარული პარტიის მიმართ და იმისთვის, რომ ჩემი მხრიდან ფრაქციის დატოვებაში სხვებიც არ „ჩამეთრია“ და ამას შეთქმულების ფორმები არ მიეღო, არცერთ ადამიანთან არ მისაუბრია ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. პირადად თქვენ მე მომატყუეთ, როდესაც პარტიაში შემოსვლა 3 წლის წინ შემომთავაზეთ ჩემი საპარლამენტოს სიაში „ჩასმის“ ფარგლებში. მე ვიყავი სოლიდარული პარტიასთან, მაშინაც, როდესაც მიუხედავად საპარლამენტო არჩევნებამდე მიღებული გადაწყვეტილებისა პარტიის დატოვების შესახებ, პარტიის ერთერთი „მამის“ ბოდიშის მოხდის და თხოვნის მერე — რომ დავხმარებოდი და არ მიმეტოვებინა ის და პარტია ასეთ რთულ ვითარებაში, გავუწიე ანგარიში და დავრჩი პარტიის წევრად. (აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ნამდვილად მაინტერესებდა პარლამენტში საქმიანობა, მაგრამ არ აღვიქვამს სიაში არ ყოფნა ტრაგედიად, უბრალოდ, როდესაც, 3, 4 ჯერ თავად გთავაზობენ ამას და შემდგომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გელა კვაჭანტირაძე: „დავით ბაქრაძე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

*— ნაცმოძრაობა საპრეზიდენტო კანდიდატების გამოსავლენად პრაიმერს მართავს. დასახელდნენ ბარამიძე, მალაშხია, ჯაფარიძე და ბაქრაძე. რომელს აქვს პრაიმერში გამარჯვებისთვის მეტი შანსი?*

— მოსახლეობაში დასაყრდენი ნაციონალებს აღარ აქვთ, ამიტომ ეს პრაიმერი მნიშვნელოვანი არ არის, მოვლენები ისე ვითარდება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე მათი რეიტინგი ნულამდე დაეცემა. ეს უფრო შიდაპარტიული პროცესია იმისთვის, რომ თავიანთი პარტია გამოაცოცხლონ და შეინარჩუნონ გარკვეული ძალები, იმდენად დისკრედიტებულია ეს პარტია, რომ არანაირი პრაიმერი მას არ უშველის. თუ მაინც საინტერესოა საზოგადოებისთვის რომელს აქვს მეტი შანსი, ჩემი აზრით, უფრო ბაქრაძეს აქვს, ის უფრო უწყინრად და დაბალანსებულად გამოიყურება. მას თითქოს არა აქვს ხელშესახები კონკრეტული ცოდვები. თუმცა ეს ერთი შეხედვით ჩანს ასე. ბაქრაძეს ეკავა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი, ქვეყანაში რანგით მეორე კაცი იყო, მისი პასუხიმგებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ლიდერებს შორის, ვინც ნაცმოძრაობას ჰყავდა და იმაზე, რაც ამ ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა, ბაქრაძეც არის ერთ-ერთი პასუხისმგებელი.

*— თქვენ სწორად ბრძანეთ, რომ ბაქრაძე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა, ის აცხადებს ერთ ინტერვიუში, რომ ამ პასუხისმგებლობას არ გაურბის, თუ არ ჩავთვლით ბარამიძეს, არიან სხვა კანდიდატურები — ჯაფარიძე, ყოფილი ექსპერტი და მალაშხია, რომლებსაც ნაკლები პასუხისმგებლობა აქვთ ჩადენილი დანაშაულობების გამო.*

— მე არ ვეთანხმები ბაქრაძეს, როცა ის აცხადებს, რომ გრძნობს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, ეს არის ცარიელი განცხადება, პასუხისმგებლობის აღება ქმედებას ნიშნავს. უნდა გადადგეს ან რაღაცა დაგმოს, არაფერი მას არ გაუკეთებია. სხვა კანდიდატებს რაც შეეხება, ბარამიძეს დიდი გამოცდილება აქვს პოლიტიკაში, მაგრამ მის მიმართ კონკრეტული პრეტენზიები გააჩნია მართლმსაჯულებას. განსაკუთრებით სვანეთში ჩატარებულ სპეცოპერაციას ვგულისხმობ. მალაშხიასა და ჯაფარიძეს რაც შეეხებათ, მიმაჩნია, რომ ნაკლებად საინტერესო კანდიდატები არიან, ჯაფარიძე თუკი ეკონომიკაში ერკვევა, პოლიტიკაში ორივე ფეხით მოიკოჭლებს და ის რაღაც გაუგებრობაშია მოხვედრილი.

*— გამომდინარე სამეგრელოში ნაპოვნი სამალავებიდან, ნაცმოძრაობას კიდევ უფრო დაუმძიმდა მდგომარეობა და ის სახელგატეხილი და გაკოტრებული პარტია გახდა, ეს ფირები რა გავლენას იქონიებს საპრეზიდენტო არჩევნებზე?*

— ნაცმოძრაობას შესანიშნავად ესმის, რომ ეს არჩევნებიც წაგებული აქვს, ვერ წარმომიდგენია, რომ ეს ასე არ იყოს, იქ ბრძოლა მიდის მეორე ადგილისთვის, კვლავ ცდილობენ, მთავარ ოპოზიციურ ძალად დაფიქსირდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ოცნების კანდიდატი გაიმარჯვებს. ეს სამალავები არანაკლები ბომბია, ვიდრე იყო ციხის კადრები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების წინ იხილა ქვეყანამ. საშინელი სენსაციაა, ეს არის საშინელი მასალები. ეს ძალადობა საზოგადოებაზე არ იყო ცალკეული შემთხვევები, ჩანს, რომ სისტემური დანაშაული იყო.



*— უცნარი განცხადება გააკეთა დავით უსუფაშვილმა, რომ ნაცმოძრაობა კვალიფიციური და გავლენიანი ოპოზიციური ძალაა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს რატომ თქვა უსუფაშვილმა?*

— არ მომისმენია, მაგრამ თუ ასეთი აზრი გამოთქვა, ეს არ არის რომელიმე პარტიული ლიდერის გამონათქვამი, მან ალბათ როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ გამოთქვა აზრი, ის ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ყველა იმ ძალას, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი. ცდილობს კონსტრუქციულად იმუშაოს ოპოზიცასთან და თუ რამე რესურსი არსებობს ისეთ ოდიოზურ ძალასთან, როგორიც ნაცმოძრაობაა, შეძლოს ურთიერთობა. მანაც შესანიშნავად იცის, რას წარმოადგენს ნაცმოძრაობა. არის ერთი რამ, რასაც ანგარიში უნდა გაუწიოს პრემიერ-მინისტრმა და საზოგადოებამ, ეს არის საერთაშორისო ფაქტორები, რითაც გეოპოლიტიკაში დიდ მოთამაშეებს ამერიკას, ევროკავშირს, სტაბილური საქართველო სჭირდებათ. არავინ აპირებს, შეურიგდეს ისეთ ქმედებას, რაც დანაშაულია.

*— ეს ფირები აჩვენეს ჟურნალისტებს, არასამთავრობოებს, შემდეგ საკრებულოს წევრებს, ახლა პარლამენტარებმა უნდა ნახონ, რასაც საპარლამენტო უმცირესობა აპროტესტებს. ეს კინოსეასნები სწორია, რა მიზანს ემსახურება?*

— თუ ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებაა და მას აქვს გრიფი საიდუმლო, უნდა დარჩეს სახელმწიფო საიდუმლოებად, დანარჩენი ინფორმაციის მიღებისა და გაცნობის უფლება მთელ საზოგადოებას აქვს, დასადგენია ამ ინფორმაციების სტატუსი. მიხეილ სააკაშვილმა თქვა, მე გავეცი ბრძანება, რომ ეს საიდუმლო სამალავები შეექმნათო და საჭირო იყო ეროვნული უსაფრთხოებისთვისო. სიტუაციას ამძიმებს ის, რომ იქ აღმოჩნდა ასევე კომპრომატები, გარდა იარაღისა. ის ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლოებას, გახსნილი უნდა იყოს და რასაკვირველია, პარლამენტისთვისაც. ამის პროტესტი უაზრობად მიმაჩნია. ეს მძიმე იქნება საზოგადოებისთვის, მაგრამ რეალობას თვალებში უნდა შევხედოთ, რადგან ნაციონალები არსად წასულან და მორალს გვიკითხავენ, ჭკუას გვასწავლიან. საზოგადოებამ უნდა შეაფასოს ყველაფერი და უნდა ვნახოთ, ვის რა ავტორიტეტი აქვს.

*— რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ბიძინა ივანიშვილის განცხადება პოსტიდან წასვლის შესახებ? რას ნიშნავს ეს?*

— მოულოდნელი არ იყო, იმიტომ, რომ 1 ოქტომბრამდეც ამბობდა, ამ მონსტრს მოვაშორებ ქვეყანას და მალე წავალ პოლიტიკიდან, თუ არ ვცდები, ამბობდა, წელიწად-ნახევარშიო. მოულოდნელობის ეფექტს შეიცავდა განცხადება სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ წასვლაზე. ამ განცხადებას, ჩემი აზრით, ორი მომენტი აქვს, მისი გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება ერთ შემთხვევაში იქნება კარგი, თუ ის გადაწყვეტს, რომ გახდეს პრეზიდენტი, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის უფლებები შეზღუდულია, მაგრამ მას რჩება სხვა უფლებები, ის იქნება არბიტრი პოლიტიკური კრიზისის დროს და სტაბილურობის გარანტი, გარკვეული ზედამხედველობის ბერკეტები ექნება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. მისი გადაწყვეტილება, კენჭი იყაროს პრეზიდენტის პოსტზე, მართლა კარგი იქნება. რუტინულ საქმიანობა მინისტრთა კაბინეტი ისედაც შეასრულებს უბრალოდ მთავარი საკითხებში გარანტირებული რომ იყოს ქვეყნის წინსვლა, ბატონი ივანიშვილი ამას უკეთ მოახერხებს პრეზიდენტის პოსტიდან. მაგრამ თუ ის უბრალოდ გადადგება და წავა, ამ შემთხვევაში შეიძლება ქვეყანას ბევრი პრობლემა გაუჩნდეს, როცა საგარეო პოლიტიკაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ბალანსი, რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობას ვგულისხმობ, არჩევნებში გამარჯვებული ძალის ლიდერი ივანიშვილი უნდა იყოს გარანტი იმისა, ვის როგორ უნდა ესაუბრონ. ასევე არ იქნება კარგი საერთაშორისო ინვესტიციებისთვის, მოლოდინია, რომ ივანიშვილი დაამყარებს საბიუჯეტო წესრიგს, რომ ის გახდება გარანტი ქვეყანაში კერძო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით, შიდა პოლიტიკურ სპექტრშიც ჯერ არ არის დაწმენდილი და დალაგებული სიტუაცია. ცესკო ჯერ კიდევ სააკაშვილსდროინდელია, ასევე არასამთავრობო სექტორში რომ გადავიდეს ივანიშვილი, ეს გამოიწვევს დისბალანსს, როგორ შეიძლება მწირი რესურსებით რომელიმე არასამთავრობომ მას კონკურენცია გაუწიოს. მე ვურჩევდი, კენჭი ეყარა საპრეზიდენტო პოსტზე.

*— იქიდან გამომდინარე, თუ რა რეაქცია ჰქონდათ მეოცნეებს ივანიშვილის ამ განცხადების გამო, ქართული ოცნების ბევრმა ლიდერმა უარყო ივანიშვილის წასვლის შესაძლებლობა, მათ ხომ არ აშინებთ მილიარდერის პოსტიდან წასვლა სწორედ მისი ფინანსების დაკარგვის გამო?*

— გეთანხმებით, რომ ამ განცხადებამ გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია ქართული ოცნების რიგებში იმიტომ, რომ არ არის ჩამოყალიბებული როგორც კოალიცია და ხშირად არის ხარვეზები მის ორგანიზაციულ მუშაობაში, ჯერ ფორმირების პროცესშია პარტია ქართული ოცნება, საზოგადოების ქმედებები პერსონიფიცირებულია ბატონ ბიძინასთან. თუ ივანიშვილი გადადგება, ბევრი რამ კოალიციას გასარკვევი ექნება როგორც შიგნით, ასევე გარეთ. არავინ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ ივანიშვილი მილიარდებს ვიღაცას დაურიგებს. სამართლიანი სასამართლო უნდა ჩამოყალიბდეს, ჩვენ ვნახეთ, რაც მოხდა მოსამართლეების კონფერენციაზე. თვითმმართველობის რეფორმა ჩასატარებელია და სხვა პრობლემებია. ამას დასჭირდება რამდენიმე წელი.

*— საზოგადოება აღელვა ამ განცხადებამ იმის გამო, რომ გაჩნდა ლოგიკური კითხვა, რა გუნდს ტოვებს ივანიშვილი, ვხედავთ, რომ რესპუბლიკელები და ალასანიას პარტია დასავლური ორიენტაციის არიან, მათ კოალიციაში ლიდერის როლი გააჩნიათ, მათ კი ფონს უქმნიან ფორუმი, კონსერვატორები და კობა დავითაშვილი. ამ გუნდზე რა შეგიძლიათ თქვათ, რამდენად ხმაშეწყობილი არიან, რომ ქვეყნის მართვა შეძლონ ივანიშვილის ფაქტორის გარეშე?*

— ბატონი ივანიშვილი არის ამ კოალიციის ერთიანობის გარანტი. მე არ დავიწყებ იმის ანალიზს, ვინ მეტად პროდასავლურია და ვინ ნაკლებად, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პარტიები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მათი დატოვება ცარიელ ადგილზე სერიოზულ პრობლემებს შექმნის. მეორე ის არის, რომ როცა გამარჯვებული კოალიციის ხელმძღვანელი ქმნის პარტიას, სახელწოდებით ქართული ოცნება, გასარკვევია, რა როლი ექნება ამ პარტიას კოალიციაში. საკითხავია, რისთვის შეიქმნა ეს პარტია. ბუნებრივად უნდა დადგეს ბალანსი მათ ურთიერთობაში. ამ პროცესიდან გასვლა ნაადრევია.

# „ბიოპლანი“ საქართველოში არ უნდა შემოვიდეს

გულიკო ბალაძე

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შსს სამინისტროსგან „ბიოპლანის“ ამკრძალავი მექანიზმის შემოღების დაჩქარებას მოითხოვენ

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამაინისტროს ოფიციალური წერილით მიმართავს და საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ბოლო პერიოდში, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული საშუალების ე.წ. „ბიოპლანის“ მოხმარების, შესყიდვისა და გამოწერის ამკრძალავი მექანიზმის შემოღების დაჩქარებას მოითხოვს. „ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ „ბიოპლანი“, რომელსაც სამედიცინო წრე უკვე უწოდებს ახალი თაობის ნარკოტიკულ ნივთიერებას, ქართველ მომხმარებლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. არაოფიციალური ინფორმაციით, თბილისში არაერთი ახალგაზრდა სწორედ „ბიოპლანის“ მოხმარების შედეგად დაიღუპა.

მიუხედავად იმისა, რომ „ბიოპლანი“ ადამიანის ჯანმრთელობას და მის ფსიქიკური მდგომარეობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, მომხმარებლებს რისკები სერიოზულად არ მიაჩნიათ, რაც ხელს უწყობს „ბიოპლანზეც“ ხელისაწვდომობაც და სახელმწიფოს მხრიდან ამკრძალავი ნორმების არარსებობაც.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ შსს მინისტრს „ბიოპლანის“ საქართველოში შემოტანის პროცესის შეჩერების მიზნით, შესაბამისი ზომების მიღებისკენ მოუწოდებს.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აუცილებელია შესწავლილ იქნას, თუ რა მეთოდით ებრძვიან ბიოპლანის გავრცელებას სხვადასხვა ქვეყნები და დაისახოს შესაბამისი ეფექტური ღონისძიებები.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ დააჩქაროს კომუნიკაცია უცხოელ ექსპერტებთან და სამთავრობო დონეზე მიღებულ იქნას საქართველოში „ბიოპლანის“ მოხმარების, შესყიდვის და გამოწერის პროცესის შეჩერების ანდა შეზღუდვის გადაწყვეტილება.

აუცილებელია საკითხის გადაჭრის პროცესში ჩართული აღმოჩნდნენ ქართველი სპეციალისტები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებიც.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, მნიშვნელოვანია, საქართველომ საკითხის დარეგულირების მიზნით, პრობლემის გადაჭრა საკანონმდებლო ცვლილებების დონეზეც მოახდინოს. ასეთი ცვლილებები, სხვადასხვა ფორმით, უკვე განახორციელეს ირლანდიამ, რუმინეთმა, ავსტრიამ, პოლონეთმა, უნგრეთმა, ფინეთმა და სხვა ქვეყნებმა, ძირითადად, დისტრიბუციის აკრძალვის კონტროლისა და ნივთიერებებზე „დროებითი კონტროლის“ შემოღების მიმართულებით.

უცნობია, ამ მიმართულებით, საქართველოს შსს სამინისტროს მიერ დაწყებული ღონისძიებების მიმდინარეობა და პრობლემის გადაჭრის სავარაუდო ვადები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, აგრეთვე, მიმართავს გადამზიდავ კომპანიებს, რათა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზომების მიღებამდე, უარი თქვან ქვეყანაში ბიოარომატიზატორების შემოტანაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, „ბიოპლანის“ ტრანსპორტირებაზე ერთ-ერთმა ქართულმა სადისტრიბუციო კომპანიამ უარი უკვე განაცხადა, რაც სამაგალითო უნდა გახდეს სხვა კომპანიებისთვისაც.

თუმცა, საკითხს ართულებს ის გარემოებაც, რომ მომხმარებელს ნივთიერების მიღება ინტერნეტის საშუალებით, ნებისმიერ დროს, გამოწერის ფორმით შეუძლია.

# გიგი უგულავა: „მზად ვარ, ნებისმიერი კონფიგურაციის საკრებულოსთან ვითანამშრომლო“



დედაქალაქის მერის გიგი უგულავას განცხადებით, რომელიც მან საკრებულოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ცვლილებასთან დაკავშირებით გააკეთა, — ის ნებისმიერი კონფიგურაციის საკრებულოსთან ითანამშრომლებს.

„მე მზად ვარ, როგორც თბილისის პირდაპირ არჩეულმა მერმა, ვითანამშრომლო ნებისმიერი კონფიგურაციის საკრებულოსთან და თანამშრომლობის სურვილი ადრეც არაერთგზის გამომითქვამს. მიმაჩნია, რომ საკრებულოში ბრძოლის ხაზი უნდა გადიოდეს არა სკამებზე, არამედ იმ პრობლემების მოგვარებაზე და ხელშეწყობაზე, რომელიც თბილისელებს აქვთ. ამიტომ, როგორი კონფიგურაციის იქნება საკრებულო ეს მომდევნო 2 თვის განმავლობაში გაირკვევა , — დაღვინდება, გადალაგდება და შემდეგ, როგორიც იქნება იმ ფორმის, იმ შემადგენლობის და იმ კონფიგურაციის საკრებულოსთან მექნება ურთიერთობა. რაც არ უნდა მძიმე და რთული იყოს ეს, ჩვენ მოვალენი ვართ საერთო ენა გამოვნახოთ, იმიტომ რომ ამას ის საერთო პრობლემების მოგვარება მოითხოვს, რომელიც ჩვენს წინაშე და ზოგადად თბილისელების წინაშე დგას. აქედან გამომდინარე მე მზად ვარ თანამშრომლობისთვის“ — განაცხადა უგულავამ.

**ნიუსპრესი**

# კოკი იონათამიშვილი: „ამაზრზენი ხარ, მიშა!“

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

არც ასრულებენ და არც გატყობინებენ, ეს ვითარება უზომოდ დამამცირებლად და მიუღებლად მივიჩნიე). მე ვიყავი სოლიდარული პარტიის მიმართ, როდესაც არ ვერიდებოდი ყველაზე კრიტიკულ და მძიმე თემებზე დებატებს თუ გამოსვლებს და თქვენს გარდა ეს არც არავისთვის დამიმადლებია.

მახსოვს, თქვენს მიერ ჩემს მიმართ გამოთქმული ეპითეტები, რომლებზეც მე მიხუმრია, დედაჩემსაც არ ვუქივარ ასეთქო. ყველაზე გრანდიოზული — როდესაც თქვენ მინიმუმ 50 კაციან საზოგადოებაში თქვით, რომ სწორედ მე ვიყავი მთავარი ავტორი თქვენი საპრეზიდენტო გამარჯვებისა 2008 წელს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ თქვენ ადამიანები კი არა, ძირითადად რიცხვები გაინტერესებთ. ჩემს წინააღმდეგ მიმართული კამპანია, ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ „ძვირფასია“ ადამიანი პარტიის ლიდერისთვის, ამიტომ დღეს უკვე მივმართავ, ჩემს კოლეგებს, უამრავ კეთილშობილ, პროფესიონალ ადამიანს რომ დატოვონ პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში სხვა გზები ეძიონ.

და ბოლოს, კიდევ თუ დარეკავთ აუცილებლად შეგხვდებით. მაგრამ აწი რა გაქვს სათქმელი, მაინტერესებს. ჩემსას კი აქვე გეტყვი — ამაზრზენი ხარ მიშა, — ნათქვამია განცხადებაში.

იონათამიშვილის ამბავმა სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მის საქციელს ყველა გაქცევად აფასებს. ამასთან ხალხს განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ გაუჩნდა, რომელმაც იონათამიშვილის წერილი საჯარო გახადა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ აქ მალე ისეთი ამბები წავა, კომპრომატების დათვლას ვერ აუვალთ.

## დევნილთა შემწეობა არ გაუქმებულა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო დევნილთა ყოველთვიური შემწეობის გაუქმებაზე გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. ამის შესახებ უწყების განცხადებაშია ნათქვამი.

„რადიო „კომერსანტით" გავრცელებული ინფორმაცია დევნილთა ყოველთვიური შემწეობის გაუქმებასთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამება. ეს არის ცრუ ინფორმაცია. გთხოვთ, ნუ გაავრცელებთ გადაუმოწმებელ ინფორმაციას და შეცდომაში ნუ შეიყვანთ დევნილ მოსახლეობას. არაფერი გაუქმებულა, პირიქით, იმ დევნილებს, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში ირიცხებიან, დახმარება გაუორმაგდათ. აღნიშნული ცრუ ინფორმაციის გავრცელებიოს შემდეგ დევნილები პრეტენზიებს გამოხატავენ და ახსნა-განმარტებებს ვერ ვუმკლავდებით.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ნუ გაავრცელებთ გადაუმოწმებელ და დაუზუსტებელ ინფორმაციას, რომელიც ზიანს აყენებს მოსახლეობას", - ნათქვამია განცხადებაში.

**მედიანიუსი**

# საპრეზიდენტო არჩევნები 31 ოქტომბერს დაინიშნა

**ნათია ხურცილავა**

საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი უკვე ცნობილია. 31 ოქტომბერს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება და მეოთხე პრეზიდენტის ვინაობაც ცნობილი გახდება. თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ არჩევნები 27 ოქტომბერს ჩატარდებოდა. საპრეზიდენტო კანდიდატები მეტ-ნაკლებად უკვე ცნობილია. მიხეილ სააკაშვილმა თავისი უფლებამოსილება გამოიყენა და არჩევნების თარიღი დანიშნა.

კონსტიტუციაში განსაზღვრულია, თუ რომელ თვეს უნდა გაიმართოს არჩევნები, მაგრამ თარიღი პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს.

მიხეილ სააკაშვილს ჯერ სალომე ზურაბიშვილმა, შემდეგ დავით ბაქრაძემ მოუწოდა, რომ დროულად დაესახელებინა არჩევნების თარიღი. პრეზიდენტმაც, როგორც ჩანს, შეისმინა მათი და წინასაარჩევნო კამპანია გახსნილად გამოაცხადა.

ექსპერტების ნაწილი ვარაუდობდა, რომ მიხელ სააკაშვილი შეეცდება, უფლებამოსილების ვადა გაიხანგრძლივოს. სააკაშვილმაც გადაწყვიტა, რომ რაც შეიძლება ვადის მიწურულს დანიშნოს არჩევნები. ცხადია, თუ მეორე ტური დაინიშნება, ეს ვადა მას უფრო მეტად გაუხანგრძლივდება.

იქნება თუ არა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური? ეს სწორედ საპრეზიდენტო კანდიდატებზეა დამოკიდებული. თუმცა, „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, ბიძინა ივანიშვილმა ჯოხიც რომ დააყენოს კანდიდატად, ისიც გაიმარჯვებსო.

ამდენად, „ქართული ოცნება", თავად პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მეორე ტურს გამორიცხავენ და გიორგი მარგველაშვილს პირველივე ტურში დამაჯერებელ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ.

კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იწყებს ამოქმედებას, 31 ოქტომბერს არჩეულ პრეზიდენტს სიმბოლურ უფლებამოსილებას ანიჭებს, რომელიც არბიტრის როლს ითამაშებს, თუმცა კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი აცხადებს, რომ ახალი კონსტიტუციით ქვეყნის პირველ პირად მაინც პრეზიდენტი რჩება, რადგან ხელისუფლების შტოებს შორის არბიტრის ფუნქცია სწორედ მას ეკისრება. მით უფრო, რომ მას კვლავაც უნარჩუნდება ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის ფუნქცია.

„ქმედითი არბიტრის" ფუნქციის მქონე პრეზიდენტის პოსტისთვის და არა დიქტატორის ძალაუფლებისთვის იბრძოლებენ პოლიტიკოსები, რომელთა პოლიტიკური წარსული, პოლიტიკური პლატფორმა,



შეხედულებები, მსოფმხედველობა მკვეთრად განსხვავებულია.

ვინ არიან საპრეზიდენტო კანდიდატები?

საპრეზიდენტო კანდიდატები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტ-ნაკლებად ცნობილია.

„ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელებას წინ მცირეოდენი ინციდენტი უძღვოდა. ინციდენტი ირაკლი ალასანიასა და ბიძინა ივანიშვილს შორის. როგორც ჩანს, პრეზიდენტობის სურვილი ალასანიას იმდენად გამძაფრებული ჰქონდა, რომ თვითმოქმედება დაიწყო და ივანიშვილისგან პასუხიც მიიღო. გიორგი მარგველაშვილს ექსპერტები დამოუკიდებელი ძალის მქონე კანდიდატად არ განიხილავენ, თუმცა მინისტრობის პერიოდში გარკვეული აქტივობები მისი ავტორობით უკვე განხორციელდა. რამდენად ჩაეთვლება ეს მრგველაშვილს საარჩევნო ყულაბაში, ჯერ უცნობია.

პრეზიდენტობის ამბიცია აქვს ყოფილ მეორე პირს, ნინო ბურჯანაძეს. ორჯერ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, ქვეყნის ყოფილი მეორე პირი, რას შეცვლის პრეზიდენტის პოსტიდან? ამ კითხვაზე ბურჯანაძეს, როგორც კანდიდატს, სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში მოუწევს პასუხის გაცემა.

სალომე ზურაბიშვილი, როგორც ცნობილია, დამოუკიდებელ კანდიდატად აპირებს დარეგისტრირებას. აღნიშნული გადაწყვეტილება სალომე ზურაბიშვილმა ფოთში გაახმოვანა, სწორედ მას შემდეგ, რაც მასა და ივანიშვილს შორის თანამშრომლობა ვერ შედგა. სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტი ქართველი ხალხის არჩეული უნდა იყოს და არა დანიშნული.

„ლეიბორისტული პარტიის" უცვლელი საპრეზიდენტო კანდიდატია შალვა ნათელაშვილი. ნათელაშვილმა საზოგადოებას მიმართა – ერთხელ მაინც მანდეთ ქვეყანა, როგორც ჩანს, ეს სლოგანი კვლავ ძალაშია.

პრეზიდენტობის ამბიცია, როგორც ჩანს, აღმოაჩნდა გიორგი თარგამაძესაც, თუმცა საჯარო განცხადება თარგამაძეს ჯერ არ გაუკეთებია.

საპრეზიდენტო მარათონში ყველაზე მოულოდნელი, შეიძლება ითქვას, პაატა ბურჭულაძის პოზიცია აღმოჩნდა. პაატა ბურჭულაძის შესახებ ხმები, რომ შეიძლება ის ყოფილიყო საპრეზიდენტო კანდიდატი, ხშირი იყო, რისი უარყოფის მოწმეც საზოგადოება ასევე ხშირადაა. ამჯერად ცნობილ ბანს არც დაუდასტურებია და არც უარუყვია კონკრეტული შეთავაზება. უფრო ზუსტად კი მას ჯერ გადაწყევტილება არ მიული, როგორც თავად აცხადებს.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს „ლეიბორისტული პარტიის" ყოფილი წევრი, პროფესორი ნესტან კირთაძე. თუმცა, როგორი იქნება მისი სტრატეგია და ტაქტიკა, ამაზე მას ჯერ არ უსაუბრია.

კახა კუკავას „თავისუფლი საქართველო" ინიციატივაა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ჰყავდეს, თუმცა რამდენად შეძლებენ შეთანხმებას, ამას დრო გვიჩვენებს. როგორც ცნობილია, ჯერ კონსულტაციები არ დაწყებულა.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატს, ისინი პრაიმერის გზით გამოავლენენ მათ კანდიდატს. დემოკრატიის ასეთი ხარისხით გამოვლენილი კანდიდატი რა შედეგებს დადებს, ამას შემოდგომაზე ვნახავთ.

# დავით ზალკალიანი: „ე.წ. აფხაზური პასპორტების ცნობაზე საუბარი არ მიმდინარეობს"

**ნათია ხურცილავა**

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ ორშაბათის ტარდიციული პრესკონფერენცია გაიმართა. პრესკონფერენციაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ჟურნალისტებმა ყურადღება გაამახვილეს, ე.წ. აფხაზური პასპორტის ცნობა იყო ქართული მხრიდან.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, „ე.წ. აფხაზური პასპორტების ცნობაზე საუბარი არ მიმდინარეობს".

როგორც ცნობილია, ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის ანგარიშში მოხვედრილი ინფორმაციით ქართულმა მხარემ გააუქმა წესები, რომლებიც აფხაზური და ოსური ე.წ. პასპორტებით გადაადგილებას ზღუდავდა და ეს დოკუმენტები ვალიდურად აღიარა.

ქართული მხარის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან გაცემული პასპორტების ვალიდურობის აღიარებას არ ადასტურებს საგარეო უწყება.

როგორც ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა განაცხადა, საქართველოს ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადაუდგამს და არც მომავალში იგეგმება მსგავსი რამ.

– აფხაზეთის პასპორტების საკითხზე საუბარი არ არის. ჩვენ არც ვაპირებთ და არც ყოფილა ამაზე არანაირი ქმედება. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ამაზე განმარტება გააკეთა. მგონი, ეს არ არის კიდევ ერთი მცდელობა, რომ სიცრუეში შეიყვანონ საზოგადოება. არანაირი გეგმები, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ რაიმე ნაბიჯი შეიძლება გადადგას ამ მიმართულებით არ ყოფილა და არც იქნება. – განაცხადა ზალკალიანმა.

უმცირესობის წევრის ჩიორა თაქთაქიშვილის ინფორმაციით, ევროსაბჭოს ხუთმა მომხსენებელმა დადო ანგარიში, სადაც საუბარი იყო ქართული მხარის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პასპორტების აღიარებაზე.

– არანაირად არ არის საუბარი პასპორტების ცნობაზე და არც არანაირი ქმედება ჩვენი მხრიდან არ მიმდინარეობს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ამაზე განმარტებები უკვე გააკეთა. ეს არის საზოგადოების სიცრუეში შეყვანის კიდევ ერთი მცდელობა. – აღნიშნა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, ევროპარლამენტში აფხაზურის დღის ჩატარება ოფიციალურ ღონისძიებად აღქმული არ არის.

– ამის შესახებ რამდენიმე კვირით ადრე გვქონდა საუბარი ევროპარლამენტის დელეგაციასთან, რომელიც საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა. მათ მიეთითათ, რომ არის მცდელობა ასეთი დღეების გამართვისა. მე ვერ ვუწოდებდი ამას აფხაზეთის დღეებს. ეს იყო რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ჩერქეზების დღეების ფარგლებში. ჩერქეზებმა ერთი დღე დაუთმეს აფხაზებს, თუმცა ევროპარლამენტის ყველა წარმომადგენელი ამის შესახებ ინფორმირებული იყო და არანაირ

ოფიციალური სახე ამისთვის მიცემული არ ჰქონიათ. მათი მხრიდან ეს აღქმული არ იყო, როგორც ოფიციალური ღონისძიება. – განაცხადა ზალკალიანმა.

28 ივნისს ევროპარლამენტში აფხაზური დღე გაიმართა. აფხაზური დელეგაცია ბრიუსელში ევროპის „მწვანეთა პარტიის" მიწვევით იმყოფებოდა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, რუსეთის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების პოზიცია ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატს საფრთხეს უქმნის.

ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ზალკალიანმა ჟენევის მოლაპარაკებების 24-ე რაუნდის შედეგები შეაჯამა და აღნიშნა, რომ სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებს ჰქონდათ მცდელობა ფორმატისა და იმ მოდალობების შეცვლისა, რომელიც კონსენსუსის საფუძველზეა შექმნილი.

– მათი ეს ქმედება ორკესტრირებული იყო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების მხრიდან. ჩვენ მკაფიოდ აღვნიშნავთ, რომ სწორედ ეს მცდელობები, რომლებიც მიმართულია კონსენსუსის საფუძველზე ჩამოყალიბებული ფორმატის შეცვლისკენ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჟენევის მოლაპარაკებებს და ამაზე მთელი პასუხისმგებლობა სოხუმის, ცხინვალისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს ეკისრებათ. ჩვენი დამოკიდებულება მეტად კონსტრუქციული იყო. თანათავმჯდომარეები იძულებულები შეიქმნენ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მონაწილეებისთვის მიეთითებინათ, რომ აღედგინათ ჩვეულებრივი ფორმატი, შემდეგ კი იძულებულები გახდნენ, შეხვედრა ჩაეშალათ, – განაცხადა ზალკალიანმა.

მან თანათავმჯდომარეებს მტკიცე პოზიციის გამო მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ შემდეგ რაუნდზე, რომელიც 15-16 ოქტომბერსაა დაგეგმილი, გაირკვევა, რომელი წარმომადგენლები მიიღებენ მასში მონაწილეობას.

დავით ზალკალიანის ინფორმაციით, ჟენევის მოლაპარაკებებზე ქართულმა მხარემ თანათავმჯდომარეებს სრული ინფორმაცია მიაწოდა, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების გაბმასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, თანათავმჯდომარეებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ქართულ მხარეს და მათ ერთობლივად მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას, 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების უფლებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების პატივისცემისკენ, ასევე მათ მოუწოდეს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ფარგლებში ადგილზე ერთობლივი ვიზიტების განხორციელებისკენ.



ჟურნალისტებს საგარეო უწყებიდან აინტერესებდათ ინფორმაცია იუსტიციის ყოფილი მინისტრის ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ როგორც გაირკვა, საგარეო საქმეთა სამინისტრო იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა იმ ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც, ადეიშვილი ბუდაპეშტში იმყოფება.

– ჩემთვის არ არის ცნობილი ამის შესახებ. ეს საკითხი სამართალდამცველი უწყებების კომპეტენციაა. – განაცხადა ზალკალიანმა.

რაც შეეხება ეუთოს მისიის აღდგენის საკითხს, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის გზებზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ზალკალიანის თქმით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე, რომელიც სტამბოლში იმართება, საქართველოს დელეგაცია კიდევ ერთხელ დააყენებს ეუთოს მისიის აღდგენის საკითხს.

– ძალიან მნიშვნელოვანია საპარლამენტო ასამბლეის მუშაობა. ჟენევამდე მე ვიმყოფებოდა ვენაში, სადაც მონაწილეობა მივიღე ეუთოს უსაფრთხოების ყოველწლიურ კონფერენციაში და გავმართე შეხვედრები ეუთოს გენერალურ მდივანთან, კონფლიქტების ალმოფხვრის ცენტრის ხელმძღვანელთან. საუბარი იყო ეუთო-ს მისიის შესაძლო აღდგენაზე საქართველოში. ამ პროცესს თავისი სირთულეები აქვს. გამომდინარე იქედან, რომ ეუთოში გადაწყვეტილება კონსენსუსის საფუძველზე მიიღება და თუკი ერთი დელეგეცია ბლოკავს, მაშინ გადაწყვეტილება მიღებული ვერ არის. ჩვენი ძალიან დიდი სურვილია, რომ საქართველოში ეუთო-ს მისია აღდგეს, მაგრამ სწორედ ერთი დელეგაციის გამო ამ მიზნის მიღწევა ვერ ხერხდება. ვენაში გვქონდა საუბარი, რომ იქნება მოგვეძებნა გზები და ეუთოში ამის მექანიზმები არსებობს, რომ რაიმე ფორმით მოხდეს მისიის აღდგენა. დარწმუნებული ვარ, ამ საუბრის გაგრძელება სტრასბურგში მიმდინარე ასამბლეაზე იქნება და ჩვენი დეპუტატები ამ საკითხს დააყენებენ. – განაცხადა ზალკალიანმა.

რაც შეეხება იმას, თუ რა გზები არსებობს რუსეთის ვეტოს გვერდის ავლით ეუთოს მისიის აღდგენისთვის, ზალკალიანის თქმით, საუბარია 2009 წელს საბერძნეთის ხელმძღვანელობის პერიოდში შემოთავაზებულ წინადადებაზე, თუმცა გარკვეული მოდიფიცირებით.

– მხოლოდ თბილისში ვერ იქნება წარმომადგენლობა და არავითარი უკანდახევა არ იქნება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს უნდა იყოს ეუთოს მისია საქართველოში. – ამბობს ზალკალიანი.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი მაია ფანჯიკიძე ორდღიანი ვიზიტით საფრანგეთში გაემგზავრა. როგორც ბრიფინგზე მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა განაცხადა, პარიზში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ფანჯიკიძე ფრანგ კოლეგას, პრეზიდენტის მრჩეველს, სენატის თავმჯდომარეს და სენატორებს შეხვდება.

საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე მოინახულებს პარიზის მახლობლად მდებარე სოფელ ლევილს და მის მერთან გამართავს შეხვედრას.

ვიზიტის ფარგლებში იგეგმება ფანჯიკიძის შეხვედრა ფრანგული ანალიტიკური კვლევების ცენტრის წარმომადგენლებთან.

ზალკალიანის ინფორმაციით, შეხვედრებზე განხილული იქნება საქართველო-საფრანგეთის ორმხრივი ურთიერთობების ყველა მიმართულება. ასევე, ისაუბრებენ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციაზე.

– საუბარი იქნება ვილნიუსის სამიტის სამზადისზეც, ასევე, ჟენევის მოლაპარაკებებსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. – აღნიშნა ზალკალიანმა.

მინისტრის მოადგილის თქმით, მსგავსი ტიპის ვიზიტები და შეხვედრები ვილნიუსის სამიტის სამზადისის ფარგლებში საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.

# საქართველოში უფულობით ადამიანები აღარ დაიღუპებიან?

მერი ნამორაძე

გუშინ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის მეორე ეტაპი დაიწყო და შეთავაზებული მომსახურება მოქალაქეთათვის კიდევ უფრო გაფართოვდა: 28 თებერვლის პროექტი, რომელიც აქამდე მიმდინარეობდა, მხოლოდ 3 კომპონენტს – გეგმიურ ამბულატორიას, გადაუდებელ ამბულატორიას და გადაუდებელ სტაციონარს მოიცავდა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა შეეხო საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც 28 თებერვლის მდგომარეობით დაზღვევა არ გააჩნდა. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამა ითვალისწინებდა 453 ნოზოლოგიის, ოჯახის ექიმის მომსახურების და ბაზისური ლაბორატორიული ანალიზების დაფინანსებას. პროგრამაში ჩართულია 425 პროვაიდერი დაწესებულება. 28 თებერვლიდან დღემდე პროგრამაში დარეგისტრირებულია მილიონ 347 ათას 658 ბენეფიციარი. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება გაეწია 41 713 პაციენტს, ხოლო გადაუდებელი სტაციონარული შემთხვევა დაფიქსირდა 15 275. სულ გაიხარჯა 6 მილიონ 361 ათას 132 ლარი.

1 ივლისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გაფართოვდა და ერთი კომპონენტი – გეგმიური სტაციონარი დაემატა, რომელიც თავისი მოცულობით სადაზღვევო მომსახურების მთლიან პაკეტს ბევრად აღემატება, ანუ დახმარების მოცულობა რამდენჯერმე გაიზრდება. ამის შესახებ გუშინ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა. პროექტს სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს. მინისტრი გვაიმედებს, რომ საქართველოში ადამიანები უფულობის გამო აღარ დაიღუპებიან. ამ პროგრამის ფარგლებში გუშინ, უკვე 18 მშობიარობა დაფინანსდა. მშობიარობა უფასო იქნება საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლეთათვის და იმ პირებისთვის, რომელთაც სხვა სადაზღვევო პაკეტი არ გააჩნიათ.




„პირველი ივლისიდან იმ კონტინგენტზე, რომელიც სხვაგან არსად არ არის დაზღვეული, მშობიარობა უფასო იქნება. აქ 28 თებერვლამდე დაზღვევის არმქონე ადამიანები მოიაზრებიან. რაც შეეხება ფასწარმოქმნის მოდელს, ეს იგივეა, რაც 28 თებერვლამდე მოქმედებდა. ჩვენ დავუკავშირდით პრაქტიკულად ყველა დაწესებულებას და შევთავაზეთ მოეწოდებინათ ფასები როგორც ფიზიოლოგიურ, ასევე გართულებულსა და საკეისრო მშობიარობაზე. ფასები სწორედ მათთან შეთანხმებით შეჯერდა“, – განაცხადა სერგეენკომ.

მათ, ვისაც მაღალტექნოლოგიურ კლინიკებში მშობიარობის სურვილი ექნებათ, სადაც მშობიარობის ღირებულება მაღალია, ფასნამატი თავად უნდა დაფარონ, რაც შეეხება წინასამშობიარო პერიოდს, სერგეენკოს თქმით, ამ ეტაპზე აღნიშნული მომსახურების საყოველთაო დაზღვევის პაკეტში გადატანა არ იგეგმება.

გეგმური დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში მოქალაქეებმა პირადობის მოწმობასთან ერთად, მომსახურების სააგენტოს სერვისცენტრში ფორმა ასი, კალკულაცია და ანგარიშფაქტურა უნდა წარადგინონ იმ კლინიკადან, საიდანაც მომსახურების მიღებას აპირებენ.

პესიმისტები საყოველთაო დაზღვევის პროგრამას ეჭვის თვალით უყურებენ და სადაზღვევო კომპანიების „ჩამძირავ“ მექანიზმად მოიაზრებენ. ეჭვის თვალით უყურებენ სამედიცინო მომსახურების ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობასაც იმ მოტივით, რომ კარგი ჯანდაცვა ძვირადღირებული სიამოვნებაა და ქვეყანა ამ ეტაპზე არსებული რესურსებით ვერ შეძლებს მასშტაბური, ხარისხიანი სერვისის მიწოდებას მოქალაქეთათვის. ამ განწყობას რამდენიმეთვიანი დაკვირვება გაამყარებს ან პირიქით, სამუდამოდ ჩაუგუბებს პირში წყალს მავენს. რა თქმა უნდა, სახელმწიფო შეეცდება „იაფფასიანი“ სერვისი შეისყიდოს, რათა ყველას გაწვდეს თანხები, მაგრამ ისიც საკითხავია, იყო და არის თუ არა ხელოვნურად გაბერილი ქართულ სამედიცინო ბაზარზე სერვისების ღირებულება. ყოველი შემთხვევისათვის, სოლიდური ღირებულებიდან ზოგ დაწესებულებაში ყველაზე ნაკლები ექიმის გასამრჯელოზეა გათვლილი და რეგიონებში კურიოზამდეც კი მიდის მათი თვიური ხელფასის ოდენობა, მაგალითად, 40-50 ლარის ოდენობით თვეში.

თავად სამედიცინო საზოგადოების სოლიდური ნაწილი სახელმწიფოს ყელგამოწვდილი ევედრება, იხსნას სადაზღვევო კომპანიების თუ კერძო მესაკუთრეების კლანჭებისგან, რომლებმაც ხელოვნურად გააკოტრეს დაწესებულებები შენობა-ნაგებობების ხელში ჩაგდების მიზნით და პირველადი ჯანდაცვის ტერიტორიული ხელმისაწვდომობაც სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დაუყენეს მოქალაქეებს. ჯანდაცვის მინისტრი ტრადიციულად მშვიდად პასუხობს სამედიცინო საზოგადოებას, რომ სადაზღვევო კომპანიებსა და კერძო პირებს ვალდებულებები აქვთ შესასრულებელი და მოთმინებით უნდა ველოდოთ ამ ვადის ამოწურვას.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, საყოველთაო ჯანდაცვის მეორე ეტაპი გადაუდებელი შემთხვევების დაფინანსების სპექტრის გაფართოებასაც გულისხმობს. პროგრამა, ასევე ამბულატორიაში ოჯახის ექიმის მომსახურების, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების დაფინანსებას ითვალისწინებს. პროგრამის მეორე ეტაპზე დაფინანსდება გეგმიური ოპერაციები 15 ათას ლარიანი წლიური ლიმიტით, ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობა 12 ათას ლარიანი წლიური ლიმიტით, ორსულთა პატრონაჟი და მშობიარობა. ახალი პროგრამით ის პირები ისარგებლებენ, რომლებსაც 1 ივლისის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო პაკეტი არ გააჩნიათ. პროგრამით მოსარგებლეებს შეუძლიათ, თავად აირჩიონ სასურველი კლინიკა.

პროგრამის მოსარგებლეები არიან 1 ივლისის მდგომარეობით ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოქალაქეები. თუ დაზღვეულ მოქალაქეს 1 ივლისის შემდეგ ამა თუ იმ მიზეზით შეუწყდა სადაზღვევო კონტრაქტი, ამ შემთხვევაში იგი ჩაერთვება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში და მას შეეძლება მიიღოს ოჯახის ან უბნის ექიმის, ექთნის მომსახურება. დაუფინანსდება სისხლის საერთო და შარდის ანალიზები, ასევე გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება.

## საყოველთაო აღწერის პირველი ეტაპი დაიწყო

მერი ნამორაძე

საყოველთაო აღწერამ, რომელიც სასურველია მაქსიმუმ ათწლეულში ერთხელ მაინც ჩატარდეს, ჩვენს სინამდვილეში ერთობ დაიგვიანა, მაგრამ მაინც, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. გუშინ საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პირველი ეტაპის დაწყების შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა ჭელიძემ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადეს.

აღწერისათვის საჭირო სამუშაოების პირველი ნაწილი რეგიონების მიხედვით განაწილდება და თავდაპირველად სამ რეგიონს – აჭარას, გურიას და კახეთს მოიცავს. 1-14 ივლისს აჭარაში დაიწყება, 16-30 ივლისს კახეთში, 2013 წლის ნოემბრიდან კი ოჯახების წინასწარი სიების შედგენა საქართველოს სხვა რეგიონებში გაგრძელდება.

ნარმანიას თქმით, მოსახლეობის აღწერის მსოფლიოში გავრცელებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, საყოველთაო აღწერის განსახორციელებლად, აუცილებელია შენობებისა და მათში ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახების წინასწარი სიების შედგენა. აღნიშნული სიების დადგენა ქვეყნის ყველა სოფელსა და ქალაქს მოიცავს. თავის მხრივ კი, საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა ზაზა ჭელიძემ მოსახლეობას აღწერის პროცესში თანამშრომლობისაკენ მოუწოდა.

საბოლოოდ მოპოვებულ ინფორმაციას ხელისუფლება იმისათვის გამოიყენებს, რომ უფრო მარტივად და ეფექტურად დაგეგმოს განსახორციელებელი პროგრამები. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 18 მილიონი ლარია. აღწერის პირველადი შედეგები კი 2015 წლის გაზაფხულისთვის გახდება ცნობილი.

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ბოლოს 2002 წელს ჩატარდა. ამჯერად აღნიშნულ სამუშაოებში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 4 ათას ადამიანს მიაღწევს. მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდება საველე სამუშაოების მეორე ეტაპი – მოსახლეობის აღწერა. ამისთვის დაახლოებით 15 ათასამდე პერსონალი შეირჩევა, რომლებიც სპეციალური კითხვარების მეშვეობით მოსახლეობას ინდივიდუალურად გამოკითხავენ.

2013 წლის 2 აპრილს, საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის პირველ სხდომაზე საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა და სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. კომისიის გადაწყვეტილებით, მოსახლეობის აღწერა 2014 წლის 5-19 ნოემბერს უნდა ჩატარდეს. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საქსტატია.

## პროკურატურამ ახალაიას, მელნიკოვისა და ჩხიტუნიძის ბრალდებაზე დადგენილება გამოაქვეყნა

საქართველოს მთავარი პროკურატურა დავით ახალაიას, ოლეგ მელნიკოვისა და დავით ჩხიტუნიძის ბრალდებაზე განცხადებას ავრცელებს.

მასში ნათქვამია, რომ სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გარემოებების დადგენის მიზნით წარმოებული გამოძიების ფარგლებში 2013 წლის 1 ივლისს გამოტანილი იქნა დავით ახალაიას, (იმ დორისათვის – საქართველოს შ/ს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთოების დაცვის დეპარტამენტის უფროსი) ოლეგ მელნიკოვისა (იმ დროისათვის – ამავე საქართველოს შ/ს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთოების დაცვის დეპარტამენტის პირველი განყოფილების უფროსის მოადგილე, ოპერატიული თანამშრომელი) და დავით ჩხიტუნიძის (იმ დროისათვის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე) ბრალდების დადგენილებები.

პროკურატურის განმარტებით, დავით ახალაიას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხოფით; 2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქციით), სსკ 25, 1441 -ე მუხლის პირველი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“, „ე“, „ზ“ „თ“ ქვეპუნქტებით (წამების ორგანიზება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი პირის მიმართ, ჯგუფურად, სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირთა მიმართ, შეკვეთით ; 2006 წლის 30 მაისისამდე მოქმედი რედაქციით), სსკ 25, 143-ე მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „ა“, „გ“, „ზ“ ქვეპუნქტებით (თავისუფლების უანონო აღკვეთის ორგანიზება ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ, სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით; 2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და სსკ 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (თანამდებობის ბოროტად გამოყენება).

ოლეგ მელნიკოვს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-143-ე მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „ა“, „გ“, „ზ“ ქვეპუნქტებით (დახმარება თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ, სხვა დანაშაულის გაადვილების მიზნით; 2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქციით).

დავით ჩხიტუნიძეს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამი ეპიზოდისათვის; (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება);

ბრალდებულების ადვოკატებს კანონით დადგენილ ვადაში ჩაბარდებათ დავით ახალაიას, ოლეგ მელნიკოვისა და დავით ჩხიტუნიძის ბრალდების დადგენილებები.

მედიანიუსი

## გამოკითხულთა უმრავლესობა პრემიერის განცხადებას პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ნეგატიურად აფასებს



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 24 ივნისიდან 1 ივლისამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა, პრემიერ-მინისტრის განცხადებას მისი პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, ნეგატიურად აფასებს.

კითხვაზე – „როგორ აფასებთ პრემიერ-მინისტრის განცხადებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ,“ გამოკითხულთა 61,5 პროცენტმა უპასუხა, რომ ნეგატიურად აფასებს, საწინააღმდეგო მოსაზრება კი, 34,7 პროცენტმა დააფიქსირა.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 3,8 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## საქართველოს მთავარი პროკურორი სომხეთში გაემგზავრა



საქართველოს მთავარი პროკურატურის დელეგაცია, მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის ხელმძღვანელობით, სომხეთში ვიზიტით იმყოფება.

პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, ერევანში გუშინ სომხეთის პროკურატურის დაარსებიდან 95 წლისთავს აღნიშნავენ. საიუბლეო ღონისძიებაში 10 ქვეყნის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრაზე სხვადასხვა ქვეყნებს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის და ურთიერთშეთანხმების მემორანდუმებს. საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში 10 ქვეყნის გენერალური პროკურორი ქვეყნის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა მიიღო.

ნიუსპრესი

## „ზემო ლარსის“ გამშვებ პუნქტზე რიგებია

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, ლარსის გამშვებ პუნქტზე, ხალხი იძულებულია რიგში იდგეს. საზაფხულო არდადეგების გამო, „ზემო ლარსის“ გამშვებ პუნქტზე მგზავრთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა.

ინფორმაცის ამის შესახებ, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო კონტროლის პრესსამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, „რეგნუმი“ ავრცელებს.

„ხალხი ახლობლებთან, ან შვებულებაში მიდის საქართველოში და პირიქით. თუმცა ისინი იძულებულები არიან საზღვარზე რამდენიმე საათის განმავლობაში რიგში იდგნენ. სასაზღვრო სამსახური მთელი დატვირთვით მუშაობს, თუმცა, სამწუხაროდ მესაზღვრეებს დღე-ღამეში მხოლოდ 400 ერთეული მსუბუქი მანქანის გაფორმება შეუძლიათ, აღარაფერს ვამბობთ ავტობუსებს და სატვირთო ტრანსპორტზე. ანალიზმა აჩვენა, რომ დღე-ღამის განმავლობაში გამშვებ პუნქტზე, გავლის მსურველი 1300 მსუბუქი ავტომანქანაა“ – ნათქვამია უსაფრთხოების სამსახურის განცხადებაში

ნიუსპრესი



## დეპუტატებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა აჩვენეს

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დახურული სხდომაზე სამეგრელოში აღმოჩენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა აჩვენეს.

როგორც ჟურნალისტებს სხდომის დასრულების შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა, ახალი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რომ ეს ფაქტები მაქსიმალურად სწრაფად გამოიძიოს.



„ჩემთვის ეს არის სისტემური დანაშაული. როდესაც ვეცნობოდით წამების მეთოდოლოგიას, აშკარად ჩანს, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი, შესაძლოა, დატრენინგებული წამების მთელი სისტემა ჩამოყალიბებული, რომელსაც იყენებდნენ ადამიანების დაშინებისთვის. ეს არის საგანგაშო! ახალი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, ამის რაც შეიძლება სწრაფად გამოძიება“, – განაცხადა სესიაშვილმა.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა თალიბანის სახელით გავრცელებული ვიდეომასალის გამოძიებაზეც მიაწოდეს ინფორმაცია.

„გამოძიებას საკმაოდ ბევრი სამუშაო აქვს ჩატარებული. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა აშკარაა, რომ ეს ვიდეომასალა არ გავრცელებულა თალიბანის მიერ და ვიდეოში არსებული საფრთხე უსაფუძვლოა“, – აღნიშნა სესიაშვილმა.

მედინიუსი

# ირინა სარიშვილი: „ივანიშვილის ხელისუფლება დიდ გაუგებრობაშია“

## „პაატა ბურჭულაძემ ჯობია იმღეროს“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***— ქალბატონო ირინა, თქვენ როგორ აფასებთ მერიის თანამშრომლების გარშემო განვითარებულ პროცესებს? ჯერ დააკავეს, მერე გაუშვეს, მერე ისევ დააკავეს... სასამართლოშიც ჯერ არ შეუფარდეს, შემდეგ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს... რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?***

— რბილად რომ ვთქვათ, მე მგონი, საქმე გვაქვს ამ ხელისუფლების ტრადიციულ გაუგებარ მოღვაწეობასთან. იმიტომ, რომ მე რაღაცა ღრმა ჩანაფიქრს ამ დაჭერა-გამოშვებებში ვერ ვხედავ. მე ვხედავ ერთადერთ რამეს, რომ ბიძინა ივანიშვილი აბსოლუტურად ვერ აკონტროლებს პოლიტიკურ სიტუაციას. ის რაც მას კარგად ესმის და გამოსდის, სავარაუდოდ, ის წესრიგში აქვს, ყველაფერი დანარჩენი კი არის ძალიან მძიმე შთაბეჭდილების დამტოვებელი, რაც ხდება პოლიტიკურ სფეროში. ფაქტი ერთია, რომ საზოგადოების დაკვეთა, რაც არის სამართლიანობის აღდგენა, ამას თვითონ ხელისუფლებიდანვე ხვდება წინააღმდეგობა და სწორედ ეს არის მიზეზი ამდენი დაჭერა-გამოშვების და ამდენი კურიოზული და სასაცილო მოქმედებების ხელისუფლების მხრიდან. რა თქმა უნდა, სამწუხაროდ, ამას საკმაოდ ოსტატურად იყენებენ ნაცები იმ თვალსაზრისით, რომ შემდეგ ამ ხელისუფლებას ცილი დასწამონ ან რუსულ ორიენტაციაში, ან უსუსურობაში და ასე შემდეგ. ეს ხელისუფლება პოლიტიკურად ნამდვილად უსუსურია.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ვერ აკონტროლებენ სიტუაციას?***

— დიახ, ვერ აკონტროლებენ. ის განცხადებებიც, რომელიც ბიძინა ივანიშვილისგან უკვე მეორედ მოვისმინეთ წასვლასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, სწორედ ამას უკავშირდება. უბრალოდ, საზოგადოების რეაქცია, როგორც ჩანს, მაინც მიანიშნებს მას იმაზე, რომ ასეთი განცხადებების, თან საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე გაკეთება, მართლაც რომ ამას აპირებდე, აბსოლუტურად წარმოუდგენელია. იმიტომ, რომ ეს იწვევს გარკვეულ ცვლილებებს საზოგადოებრივი აზრის თვალსაზრისითაც და ეს იწვევს ცვლილებებს ძალთა გადანაწილების მიხედვითაც პოლიტიკურ სპექტრში. ალბათ გასაგებია როგორსაც. იქიდან გამომდინარე, რომ კოალიცია ოცნებას საკმაოდ ისეთი, გამაოგნებელი კანდიდატი ჰყავს, საპრეზიდენტო კანდიდატს ვგულისხმობ, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა შეიძლება მოხდეს საპრეზიდენტო არჩევნებზე, თუ საზოგადოება რამდენიმე თვით ადრე გაფრთხილებული იქნება ივანიშვილისგან, რომ იგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიდის.

***— ქალბატონო ირინა, თქვენ როგორ გაიგეთ მისი განცხადება?***

— მართალი რომ გითხრათ, ვერ გავიგე. მე ვთვლი, რომ თუ ის მართლა აპირებს წასვლას, ნებისმიერ შემთხვევაში ეს განცხადება არ შეიძლებოდა გაკეთებულიყო ორი — სამი თვით ადრე, მით უმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ეს განცხადება მაშინ სხვა რომელიმე კანდიდატის წარმატებას შეუწყობს ხელს. თუ ესა აქვს ბიძინა ივანიშვილს მიზნად, მაშინ სწორად მოქცეულა.

***— იქნებ ასეა?***

— მაშინ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომელ კანდიდატზე შეიძლება ჰქონდეს ორიენტირი.

***— მოდით, პრეზიდენტობის კანდიდატებზეც ვისაუბროთ, ნაციონალებმაც დაასახელეს კანდიდატები და პრაიმერიც დაიწყეს, რაც ბევრს სასაცილოდ არ ჰყოფნის, თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

— ნაციონალურ მოძრაობაზე რამდენიც არ უნდა იცინოს ბევრმა, ფაქტია, რომ 40%-იანი ოპოზიცია ჰყავთ პარლამენტში და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, სამწუხაროდ, ისინი სადავეებს ფლობენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ზოგადად



სასაცილოდ გამოიყურება ყველანაირად სახელგატეხილი და საფუძველგამოცლილი პოლიტიკური ძალის შიდა პრაიმერის ჩატარება და ასე შემდეგ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იმავე ნაციონალების ინტერესებში საკმაოდ სერიოზულად შედიოდა ის, რაც გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა, ანუ განცხადება თანამდებობიდან წასვლის თაობაზე და ეს განცხადება გაკეთდა არჩევნებამდე სამი-ოთხი თვით ადრე.

***— ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა ნაციონალების წისქვილზე დაასხა წყალი ამ განცხადებით?***

— ბიძინა ივანიშვილის განცხადება წასვლასთან დაკავშირებით წყალს ასხამს ნებისმიერი სხვა კანდიდატის წისქვილზე. ამის შემდეგ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ, რომელი უფრო ისარგებლებს ასეთი განცხადებით, ვის უფრო მეტი საშუალება აქვს. სერიოზული პოლიტიკური ზურგი, ჩემი აზრით, აქვს ერთადერთ კანდიდატს, გარდა მარგველაშვილისა, და ეს არის ნინო ბურჯანაძე. მაგრამ ნინო ბურჯანაძე, თვითონ პიროვნულად, აბსოლუტურად მიუღებელია სხვა პოლიტიკური ძალებისთვის და მისი კანდიდატურის გარშემო რაიმე სახის კონსოლიდაცია სხვა პოლიტიკური ძალებისგან, აბსოლუტურად გამორიცხულია. ეს ჩვენ წინა წლებმაც გვაჩვენა, რომ ეს ასეა და 26 მაისს ნინო ბურჯანაძე თავის ჯგუფთან ერთად ფაქტიურად აღმოჩნდა მარტო. რაც შეეხება სხვა კანდიდატურებს, რა თქმა უნდა, ოპოზიციური კანდიდატურები ერთმანეთს გაუყოფენ ხმებს, მათ შორის ნინო ბურჯანაძესაც და ისევ ხმაგაუყოფელი, მაგრამ სახელგატეხილი და გარკვეული სადავეების მფლობელი რჩება ერთადერთი ძალა, ეს არის ნაციონალური მოძრაობა. ამიტომ ძალიან ძნელია იმის ვარაუდი, ვინ უფრო ისარგებლებს. მოახერხებს თუ არა ნინო ბურჯანაძე თავისი ოპოზიციური კონკურენტების შემოკრებას გარშემო, რაც, ვიმეორებ, ძნელი წარმოსადგენია.

***— ოპოზიციის ნაწილი ვხედავთ, რომ სულ სხვა კანდიდატებს ეძებს და ნამდვილად არ აპირებს ბურჯანაძის გარშემო შემოკრებას. სახელდება პაატა ბურჭულაძის, ასევე ლევან ვასაძის კანდიდატურებიც. რამდენად რეალურია ეს და თქვენ რას ფიქრობთ ყოველივე ამაზე?***

— იცით რა არის, მე არ შემიძლია გარეგან ვილაპარაკო კანდიდატურებზე. ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ არ აპირებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას და მე რატომ უნდა განვიხილო ლევან ვასაძის კანდიდატურა? კაცი თვითონ ამბობს, რომ არ უნდა კანდიდატურა და მე ვერც დავაძალებ და ვერც ჰიპოთეზის დონეზე განვიხილავ მის კანდიდატურას. რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, არც პაატა ბურჭულაძისგან არ გამიგია არასდროს საპრეზიდენტო ამბიციებზე საუბარი და თუ აქვს, მე ვფიქრობ, რომ ძალიან გულდასაწყვეტია, იმიტომ, რომ ყველა ადამიანმა თავის საქმე უნდა აკეთოს. ნამდვილად ჯობია, რომ პაატა ბურჭულაძემ იმღეროს.

***— თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ კონკურენცია „ქართულ ოცნებას“, ნაციონალურ მოძრაობასა და ნინო ბურჯანაძის შორის გაიმართება?***

— სამი ფიგურა გამოიკვეთება საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ეს არის კოალიცია ოცნების კანდიდატი, მიუხედავად ყველაფრისა, ეს არის ნინო ბურჯანაძე, ასევე მიუხედავად ყველაფრისა და ეს არის ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი დავით ბაქრაძე, ასევე მიუხედავად ყველაფრისა. ყველაფერი დანარჩენი ემსახურება რომელიმე ამ კანდიდატის პოზიციების დასუსტებას.

***— ქალბატონო ირინა, თქვენ ნაციონალებზე საუბრისას ბრძანეთ, რომ 40%-იანი ოპოზიციაა და კიდევ სხვა ბევრი ბერკეტი აქვთო. ასევე საუბრობენ იმის შესახებ, რომ პროკურატურას და სასამართლოს კვლავ ნაციონალების კადრები აკონტროლებენ და ეს დაჭერა-გამოშვებებიც ამით აიხსნება...***

— კი, რა თქმა უნდა, ამით აიხსნება, მაგრამ ეს არ არის მთავარი უბედურება, მთავარი უბედურება არის ის, რომ კოალიცია ოცნების პოლიტიკური ნაწილი, ანუ რესპუბლიკური ნაწილი, არანაირად, იდეოლოგიურად, თვისობრივად, არანაირად არ განსხვავდება ნაციონალებისგან და ჩვენ კარგა ხნით ადრე დავიწყეთ საუბარი სამომავლოდ რესპუბლიკურ-ნაციონალური უმრავლესობის ჩამოყალიბების შესაძლებლობაზეც კი. მთავარი უბედურება არის ეს. ხომ ვნახეთ, დაკავებულებს თავდებშიც უდგებიან.

***— რას უნდა ველოდოთ ამ ყველაფრიდან, მით უმეტეს, რომ ივანიშვილმაც თუ გადაწყვიტა და წავიდა?***

— ვერ გეტყვით, აქ იმდენი თუ არის, იმდენი, რომ ყველა ამ თუზე რომ ცალ-ცალკე შეხედულებები ჩამოვაყალიბოთ, ძალიან შორს წავალთ. ყველაფერს ალბათ უფრო გვიჩვენებს აგვისტოს თვე. რატომღაც მე ასე მგონია, რომ აგვისტოში უფრო ნათელი გახდება ყველაფერი.

***— რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც ბოლო პერიოდში აქტუალური თემა გახდა, ბევრი საუბრობს, რომ აუცილებელია საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, მით უმეტეს, თუ ივანიშვილი წავაო...***

— ივანიშვილი წავა თუ არ წავა, რომც დარჩეს, მის ინტერესებში უნდა შედიოდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება საპრეზიდენტოსთან ერთად, ეს პირველ რიგში უნდა შედიოდეს ივანიშვილის ინტერესებში. ვინ დაუშვებს ამას და ვინ არა, მე ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ეს ისევ და ისევ დამოკიდებული იქნება იმაზე, ვინ სად გადანაწილდება. თუმცა რამდენად შეცვლიდა ვადამდელი არჩევნები ითარიბას, ვერც ამას გეტყვით, რადგან რადიკალურ ცვლილებებს პირველი ოქტომბრის მერეც ველოდით, თუმცა ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

# ლიბერთი ბანკს ახალი გენერალური მდივანი ჰყავს




1 ივლისს გიორგი არველაძე, რომელიც ამ დრომდე გენერალური დირექტორის მოადგილე იყო „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა.

როგორც „მედიანიუსს“ ბანკიდან აცნობეს, ლადო გურგენიძე დარჩება „ლიბერთი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარედ და ამ თანამდებობას 2015 წლის ბოლომდე დაიკავებს.

„ლიბერთი ბანკის“ მენეჯმენტში სხვა ცვლილებებიც განხორციელდა: ლექსო ლიპარტელიანი, რომელიც ამ დრომდე კორპორატიულ საბანკო საქმიანობას ხელმძღვანელობდა, საკრედიტო რისკებს გააუწევს ხელმღვანელობას, რაც ამ დრომდე ლადო გურგენიძის ფუნქციებში შედიოდა. დავით ვერულაშვილი „ლიბერთი ბანკის“ კორპორატიული საბანკო დეპარტამენტის ხელმღვანელად დაინიშნა და დაგეგმილია 2013 წლის ბოლოს მისი გენერალური დირექტორის მოადგილედ დანიშვნა.

სანდრო რთველაძე, რომელიც გენერალური დირექტორის მოადგილეა და „ლიბერთი ბანკის“ ახალი ბაზრების, არხებისა და კლიენტების მიმართულებას კურირებს ასევე გააგრძელებს ბანკის კორპორატიული საბანკო დეპარტამენტის თანადირექტორობას.

არმენ მათევოსიანი, რომელიც გენერალური დირექტორის მოადგილეა საცალო საბანკო საქმიანობის მიმართულებით დამატებით ზედამხედველობას გაუწევს ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს, რომელსაც ამ დრომდე ლადო გურგენიძე კურირებდა. გენერალური დირექტორის მოადგილე ზურაბ წულაია 2013 წლის მეორე ნახევრიდან შეასრულებს დამატებით ფუნქციებს ბანკში.

„ამიერიდან ჩემი ყოველდღიური ფუნქციების დიდ ნაწილს გადაინაწილებენ გიორგი, ლექსო და სანდრო, რის შედეგადაც მე მექნება მეტი შესაძლებლობა ყურადღება გავამახვილო ბანკის სტრატეგიულ განვითარებასა და კაპიტალის მოზიდვაზე. ასევე სანდროს გავუწევ სათანადო დახმარებას ახალი ბაზრების, არხებისა და კლიენტების სეგმენტების შექმნაში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გუნდი რომელიც 2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული მოღვაწეობს ბანკში შეძლებს სათანადოდ გააგრძელოს ბანკის მართვა. ცვლილებები თანამიმდევრულად განხორციელდება და ვინაიდან ჩვენ ყველას ერთიანი ხედვა და ღირებულებები გვაქვს „ლიბერთი ბანკი“ გააგრძელებს განვითარების არსებულ კურსს“, — განაცხადა „ლიბერთი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ, ლადო გურგენიძემ.

**მედიანიუსი**

# უგულავა მაღალჩინოსნების დაკავების საქმის გამოძიების გამჭვირვალე გარემოში ჩატარებას ითხოვს



თბილისის მერი გიგი უგულავა მერიის მაღალჩინოსნების საქმეზე გამოძიების გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში ჩატარებას ითხოვს. ამის შესახებ მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი.

უგულავას თქმით, როდესაც მაღალჩინოსნებისადმი წაყენებულ ბრალდებებზე ვსაუბრობთ, იგი ყოველთვის იმეორებს, არავინ არის წინააღმდეგი, რომ თუ რაიმე შეკითხვა არსებობს, გამოძიება ჩატარდეს.

„მაგრამ სწორედ რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო გამოძიება უნდა ჩატარდეს გამჭირვალე და კონკურენტულ გარემოში, რომ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავისი სასარგებლო მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს და შემდეგ სასამართლომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღოს.

ეს ჩემთვის, როგორც თბილისის მერისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, როგორც ადამიანისთვის, რომელმაც უნდა იცხოვროს მთელი ცხოვრება ამ ქალაქში, არის პრინციპულად მნიშვნელოვანი. სწორედ ამიტომ ვსვამთ შეკითხვებს: რას ვაკეთებდით? რატომ ვიყავით ჩვენ გუშინ რუსთავის სასამართლოში? იყო თუ არა ეს წინასწარ გამიზნული, რომ რუსთავის სასამართლოზე ზემოქმედება შედარებით ადვილი იყო პროკურატურის მხრიდან? რატომ ხდება, რომ ადამიანებს აკავებენ ერთსა და იმავე საქმეზე სამჯერ და ორჯერ უშვებენ?“ — ნათქვამია თბილისის მერის განცხადებაში.

გიგი უგულავას თქმით, ეს ის შეკითხვებია, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებით ლეგიტიმურად დგას და რომლებიც საქმის არსებით სახეს ჩრდილავს. მისი მოსაზრებით, არ უნდა ხდებოდეს ისეთი უაზრობები, როდესაც ფინანსური პოლიციის წარმომადგენელი ამბობს, რომ თავისი ფეხით მოვიდნენ, 25-მა ადამიანმა ბორკილები თვითონ დაიდო, შემდეგ კი ამას ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები იმეორებენ. „შემდეგ კი აცილება ხდება თითქოს დაცვის მხარეს მოთხოვნის საფუძველზე ფინანსური პოლიციის, მაგრამ არა ფინანსური პოლიციის, როგორც ინსტიტუტის, არამედ თურმე ტერიტორიული ორგანოსი და ამიტომ აღმოვჩნდით ჩვენ რუსთავის ფინანსურ პოლიციაში და შემდეგ რუსთავის სასამართლოში. აი, ეს ყველაფერი ჩრდილს აყენებს სამართლიან გამოძიებას. მე ნამდვილად გულწრფელად გეტყვით, არ მესმის და არცერთ ადამიანს, რომელიც აქ დღეს შეხვედრაზე იყო, ელჩებს ვგულისხმობ, არ ესმით რატომ ხდება ესეთი რაღაცები. ამას არა აქვს ახსნა“, — აცხადებს გიგი უგულავა.

**მედიანიუსი**

2013, 2 ივლისი, №154

# დავით ლორთქიფანიძემ სვანეთის განახლებული მუზეუმი გახსნა

ეკა ირემაშვილი

ხანგრძლივი სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის განახლებული მუზეუმი გაიხსნა და ამისი პატივი ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელს დავით ლორთქიფანიძეს ერგო.

ეროვნული მუზეუმის პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ანა ვერულაშვილის ინფორმაციით, სვანეთის განახლებული მუზეუმი კვლავ უღებს კარს დამთვალიერებელს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ მუზეუმის გახსნის დღეს თავად უმასპინძლა მუზეუმის მნახველებს.

— ერთი თვის მანძილზე მუზეუმი ყველა დამთვალიერებელს უფასოდ მიიღებს. სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ისტორია თითქმის საუკუნეს ითვლის. მუზეუმის რეაბილიტაციის დასრულების შემდგომ საგამოფენო დარბაზები მოეწყო და აღიჭურვა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შეიქმნა სარესტავრაციო ლაბორატორია და საცავები. მუზეუმში გაკეთდა 6 მუდმივი ექსპოზიციის დარბაზი. ისტორიაში მოგზაურობა სვანეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით იწყება, შემდეგ განთავსებულია ნუმიზმატიკური კაბინეტი. მომდევნო დარბაზები ეთმობა ქრისტიანულ საგანძურს, სადაც გამოფენილია IX-XVIII საუკუნეებში შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი შედევრები როგორიცაა: ორმოცი სებასტიელი მოწამის ხატი, ბიზანტიური ნაქარგი ხატი, ვენეციური ჯვარი, თამარ მეფის მიერ შეწირული სურა, მოხატული ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ნიმუში – ადიშის ოთხთავი, 897 წ. და სხვა უნიკალური ექსპონატები. ბოლო გალერეა მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას ეთმობა, — განაცხადა ანა ვერულაშვილმა.



მუზეუმის სარეაბილიტაციო კომპლექსური სამუშაოები საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და სხვადასხვა საერთაშორისო ფონდისა და ორგანიზაციის, მათ შორის: საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის, ევროკავშირის ტვინინგის პროგრამის, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი-ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანების, სმიტსონის ინსტიტუციის, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის, საქართველოში იტალიის და შვეიცარიის საელჩოების დახმარებით მიმდინარეობდა.

სვანეთში მუზეუმის გახსნას კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარიაც გამოეხმაურა და განაცხადა:

— სვანეთის მუზეუმი იქნება ერთ-ერთი საუკეთესო. შარშან წლის დასასრულს ვიმყოფებოდი სვანეთში და გავეცანი მუზეუმის მშენებლობის პროცესს და ის ადგილიც მოვინახულე, სადაც ექსპონატები ინახებოდა, თუმცა თავს უფლება ვერ მივეცი, რომ ისინი გამეხსნა და სათითაოდ დამეთვალიერებინა მათი მდგომარეობა. მიმაჩნია, რომ სვანეთში დაცული ისტორიული ექსპონატები უნდა დარჩეს სვანეთის მუზეუმში და არ უნდა გადმოვიდეს თბილისში, რადგან დამთვალიერებელი სწორედ იქ უნდა მივიდეს კულტურული მემკვიდრეობის სანახავად.

# უნიკალური ფოტომასალა ეროვნულ არქივშია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში უნიკალური ფოტომასალა გამოიფინა, რომელიც გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 170 წლის იუბილეს ეძღვნება. ექსპოზიციის გახსნას იუსტიციის მინისტრის მოადგილე დავით ჯანდიერი დაესწრო.

— ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოები იმ პერიოდის საქართველოს განვითარების სხვადასხვა სფეროს ასახავს. ფართო საზოგადოებას დღეს პირველად მიეცა საშუალება ამ უნიკალურ ფოტომასალას გაცნობოდა. კოლექციაში დაცული მინის ნეგატივების ციფრულ ფორმატში გადატანის შემდეგ, მასალა უკვე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი", — აღნიშნა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

ეროვნული არქივის საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილია ნიკოლაძე-ლამბაშიძეების კოლექციიდან უნიკალური ფოტოები, რომლებიც ეროვნულ არქივშია დაცული. ეს ფოტოები ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას, მისი მეგობრების წრესა და ოჯახის წევრების ცხოვრებას ასახავენ.

— ვახტანგ ლამბაშიძე ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პარიზის ქართული სათვისტომოს რიგით მეორე თავმჯდომარე იყო. დიდია მისი ღვაწლი ქართული საზოგადოების წინაშე, — აცხადებს თეონა იაშვილი.

როგორც გამოფენაზე ითქვა, დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება, ნახოს ისტორიული ღირებულების მქონე, აქამდე უცნობი და გამოუქვეყნებელი ფოტოები, რომლებიც ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდს უკავშირდება.

ფოტოები გადაღებულია ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ნიკოლაძის, დავით გურამიშვილისა და ვახტანგ ლამბაშიძის მიერ XIX საუკუნის 70-იან და XX საუკუნის 20-იან წლებში. ექსპოზიციაზე სულ 37 ფოტოა წარმოდგენილი.

– 1972 წელს ფოტომასალის დიდი ნაწილი ეროვნულ არქივს გიორგი ნიკოლაძის დამ, რუსუდან ნიკოლაძემ გადასცა. ნიკოლაძეების კოლექციაში შედის 1958 წელს ალპური კლუბიდან მიღებული ნეგატივებიც. 2012 წლის დასაწყისში მედეა თაბუკაშვილმა არქივს ვახტანგ ლამბაშიძის მიერ გადაღებული, ნინო პალტარაცკაიას დაკრძალვის კადრები, თბილისისა და სტამბოლის ხედები გადასცა. ამავე წელს პარიზში მცხოვრებმა რეზო და ნათელა ნიკოლაძეებმა არქივს ჩააბარეს ვახტანგ ლამბაშიძისა და გიორგი ნიკოლაძის მიერ გადაღებული 157 ნეგატივი მინაზე, — განმარტავს ეროვნული არქივის წარმომადგენელი სოფიო ჯობავა.

ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველი გამოფენა ეროვნულ არქივში 10 ივლისამდე გაგრძელდება და მისი დათვალიერება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

# თეატრალურ უნივერსიტეტში ვორქშოფი ჩატარდა

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტზე შედგა ვორქშოფის ფარგლებში დაგეგმილი მასტერკლასების ციკლის პირველი შეხვედრა.

როგორც თეატრალური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ჯაბა სიხარულიძემ განაცხადა:

– სამკვირიანი პროგრამა ასევე მოიცავს კინოგადაღებას, რომელიც მოგვიანებით თბილისის სხვადასხვა უბანში გაიმართება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის, პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გრძელდება ეს პროექტი. ეს არის მასტერკლასების ციკლი, რომელიც ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა კინოსკოლების სტუდენტებისთვის, და არა მხოლოდ სტუდენტებისთვის. ერთი თვის განმავლობაში პოლონეთის, ლოძის კინოსკოლის პროფესორები ჩაატარებენ მასტერ კლასების სერიას, რის შედეგადაც სტუდენტები შექმნიან დოკუმენტურ ფილმებს, რომელთა გმირი არის ქალაქი, ამ შემთხვევაში თბილისი. საბოლოო ჯამში შეიქმნება ერთ საათიანი დოკუმენტური ფილმი თბილისზე.

მისივე განცხადებით, პროექტის პრეზენტაცია 11 ივნისს შედგა, რის შემდეგაც უკვე გადაღებული ფილმების ჩვენება გაიმართა.

— მესამე და საბოლოო ეტაპი დეკემბერში შედგება, როდესაც ნაჩვენები იქნება ვორქშოფის საბოლოო პროდუქტი — ფილმი თბილისზე, — ამბობს ჯაბა სიხარულიძე.

მისივე ინფორმაციით, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში საწარმოო პრაქტიკა გაიმართა, რომელიც მოიცავდა პლასტიკას, სასცენო მეტყველებასა და ვოკალს. საწარმოო პრაქტიკაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია", „ზაპოი", ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ პაციენტისგან ფარულად მის ულუფა საკვებში, წვენებში, წვნიანებში, წყალში ფხვნილის, ნაყენისა და წვენების სახით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები — გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა, ლამბლიოზი-ჭიები, ნაღვლის ბუშტის ანთება, ნაღვლის წვენის დისკინეზია, ნაღვლის ბუშტიდან შლაკებისა და წვრილი კენჭების გამოდევნა, გაუვალობა, შებერილობა, ღვიძლის გასუფთავება, ნაწლავების გაწმენდა მცენარეული, უსაფრთხო, ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 599-65-43-66; 577-34-62-94 ექიმი ნინო.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# დავით კვირკველია დინამოში დაბრუნდა

დიდი ხნის შემდეგ თბილისის „დინამოში“ დაბრუნებული, საქართველოს ნაკრების მარცხენა მცველი დავით კვირკველია კლუბის ვებგვერდის სტუმარია და რას ფიქრობს გუნდსა და მომავალზე, მისი საუბრიდან შეიტყობთ.

**„დინამოდან“ „დინამოში“**

– დიდი დრო გავიდა. მაშინაც კარგი სიტუაცია იყო და კარგი გუნდი გვყავდა. საოცარი უიღბლობა, რომ არა „ტირანასთან“, შეიძლებოდა წარმატების მიღწევა. შემდეგ ახალგაზრდები მოვიდნენ და ალბათ ბევრი არ ელოდა ევროპის ლიგაში გასვლას. შევძელით „ბატეს“, „სლავიის“, „ვისლას“ წინააღმდეგობის დაძლევა. დღევანდელი „დინამოს“ ბაზა ევროპულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს. ცალკე თემაა „დინამოს“ საფეხბურთო აკადემია. ბევრ ქვეყანაში მომიწია თამაში და შემიძლია ვთქვა ერთადერთი ყაზანის „რუბინის“ ბაზა თუ მივა ახლოს „დინამოსთან“, მაგრამ „დინამოსი“ სჯობს. სხვათა შორის „დინამოს“ სათავეში ბატონ რომან ფიფიას მოსვლის პირველივე წელს იყო შემოთავაზება, მაგრამ მაშინ ჩემი მხრიდან ვერ მოხერხდა თანამშრომლობა. „დინამოში“ სერიოზული მზადება მიდის ევროპული წარმატებისთვის. ეტაპობრივად ემზადება და ვითარდება კლუბი. გუნდში კარგი ატმოსფეროა, ჯანსაღი ამბიცია არსებობს და ყველა მიზანმიმართულად მუშაობს. ჩვენმა ლეგიონერებმაც განვლილ სეზონში დაამტკიცეს თავიანთი შესაძლებლობები და ასევე იქნება ევროთასებზეც. ვფიქრობ, შეგვიძლია ჩვენი გულშემატკივარი გავახაროთ.

**ადაპტაციაზე**

– ფეხბურთელებს, ბევრს ვიცნობდი, ბევრთან ვმეგობრობდი, ბევრთან ერთად მითამაშია, ბევრის წინააღმდეგ მითამაშია. თავი უცხოდ ნამდვილად არ მიგრძნია, მაგრამ შეკრებაზე ერთად ყოფნა, მაინც სხვა არის, ახლა გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ „დინამოში“, როგორც საკუთარ ოჯახში ისე ვგრძნობ თავს. ახალგაზრდებიც ძალიან კარგები არიან გუნდში. ისინი საქმეს პროფესიონალურად უდგებიან და მათი სახით, ვფიქრობ „დინამოს“ მაგარი მომავალი აქვს.

**მწვრთნელზე**

– მწვრთნელი ისეთი პიროვნება აღმოჩნდა, რომ ასე მგონია დიდი ხანია ვიცნობ და დიდი ხანია ერთად ვმუშაობთ. ახლა მთავარია მისი მოთხოვნები დავაკმაყოფილო და მის სათამაშო სქემაში ჩავჯდე. მწვრთნელები, ექიმები, მთლიანად სტაფი ძალიან მეხმარება და თავს კომფორტულად ვგრძნობ. გუნდში მაღალი კონკურენციაა, გარანტირებული არავის არაფერი აქვს და ყველამ უნდა დაამტკიცოს, რომ ძირითადის ღირსია.

**სპარინგებზე**

– ისეთი სპარინგები ვითამაშეთ, შეიძლება მთელს კარიერაში არ მოგიწიოს ასეთ გუნდებთან დაპირისპირება. ამ შეხვედრებმა გვიჩვენეს, რომ „დინამოს“ ყველასთან შეუძლია თამაში.

**კენჭისყრაზე**

– კენჭისყრამ შედარებით იოლი მეტოქე გვარგუნა, მაგრამ ეს ორი მატჩი სათამაშო და მოსაგებია. ყველას გათვითცნობიერებული გვაქვს ჩვენი ვალდებულებები. ყველა თამაში რთული იქნება. ვფიქრობ პერსპექტივებზე წინასწარ არ ღირს საუბარი.

**დინამოს ფანებზე**

– „დინამოში“ მოსვლამდეც ვიცოდი და ვხედავდი, როგორ განიცდიდნენ, ყველგან დაყვებოდნენ გუნდს, ქარსა და წვიმაში გვერდში ედგნენ „დინამოს“. ერთი შემიძლია დანამდვილებით ვთქვა. არცერთი ჩვენთაგანი საქმეს არაფერს დააკლებს და მათი მხარდაჭერაც ბევრს ნიშნავს ჩვენთვის.

**დაბადების დღეზე**

– დაბადების დღე ამჯერადაც სახლიდან შორს მომიწია, კარგა ხანია მუდმივად ასეა და უკვე შეგუებული ვარ, თუმცა მოლოცვები ცხადია ჩემი თანაგუნდელებისგან აქაც არ მომკლებია.

# უსტიაშვილის ნაკრები ისევ მეოთხეა

საქართველოს 20-წლამდე კალათბურთელთა ნაკრებმა მორიგ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და კვლავ ბოლო ადგილზე გავიდა. თუმცა, ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ამჯერად მთავარი ლიდერის, ბექა ბურჯანაძის გარეშე ითამაშა.

ერთია, დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა სეზონის პირველი გამარჯვება მაინც მოიპოვა. ჩვენებმა „ა“ დივიზიონის წევრი უკრაინა დაამარცხა და ეს მთავარი ლიდერის – ბექა ბურჯანაძის გარეშე მოახერხა.

ჩვენმა გუნდმა თავიდანვე აქტიურად შეუტია ლურჯ-ყვითლებს და პირველი მეოთხედი 22:14 მოიგო. მას მერე დავით უსტიაშვილის შეგირდებს თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ, და საბოლოო ანგარიშშიც 8-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა.

ქართველებს გამარჯვებისკენ ოთარ ფხაკაძე გაუძღვა, რომელმაც 24 ქულა ჩააგდო. მის ანგარიშზე 7-დან 3 სამქულიანია. პერიმეტრიდან ტყორცნებში ქართველებმა უკრაინელებს ორით აჯობეს – 7 სამიანი გამოიყენეს, მოხსენებში კი მეტოქეს რვით ჩამორჩნენ – 43:51.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები იტალიასთან ბოლო 8 დღეში მეორედ დამარცხდა. დავით უსტიაშვილის გუნდმა იტალიელებთან პირველად სანტ-ანჯელოს ტურნირზე, 21 ივნისს, 57:80 წააგო, მეორედ კი 29 ივნისს, დომეჯი დიკადორში.

მეორე მარცხი უფრო დიდსხვაობიანია. ქართველებმა პირველი მეოთხედი 14:27 წააგეს, დიდი შესვენების შემდეგ კი უკვე 19 ქულით ჩამორჩებოდნენ. მეორე ტაიმში რამის შეცვლა ქართველებმა ველარ მოახერხეს და საბოლოოდ 53:82 დამარცხდნენ. ჩვენიანთაგან ყველაზე შედეგიანი გიორგი ცირეკიძე იყო 12 ქულით, ირაკლი მიქელაძემ და ლერი კვანტალიანმა კი 7-7 ქულა მიითვალეს.

ტურნირის ბოლო მატჩში დავით უსტიაშვილის გუნდმა იმ ბულგარეთთან წააგო, რომელსაც მანამდე ორივე შეხვედრა წაგებული ჰქონდა.

ქართველებმა უიმედოდ წააგეს. პირველი მეოთხედი 14:29 დათმეს, რის შემდეგაც ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ ვითარება ველარ გამოასწორეს. საბოლოოდ უსტიაშვილის გუნდმა 54:85 წააგო და ტურნირზე მე-4 ადგილი დაიკავა.

ბულგარელებმა ქართველებს პირადი მოგების ხარჯზე გადაასწრეს. პირველ ადგილზე კი იტალია გავიდა, რომელმაც ბოლო მატჩში უკრაინა გაჭირვებით – 76:71 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრები საქართველოში დაბრუნდება და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისში განაგრძობს. უსტიაშვილის გუნდი ესტონეთში, ევროპირველობაზე 7 ივლისს გაემგზავრება.

# ბრაზილია ჩემპიონია, ნეიმარი – საუკეთესო

**ბრაზილია – ესპანეთი 3:0**

**რიო დე ჟანეირო.** მარაკანა

1:0 ფრედი (2), 2:0 ნეიმარი (44), 3:0 ფრედი (47)

54-ე წუთზე, სერხიო რამოსმა ვერ გამოიყენა პენალტი (აცილა)

**ბრაზილია:** სეზარი, ალვესი, სილვა, ლუიზი, მარსელო, პაულინიო (ერნანეში 87), გუსტავო, ჰალკი (ჟადსონი 72), ოსკარი, ნეიმარი, ფრედი (ჟო 79)

**ესპანეთი:** კასილიასი, არბელოა (ასპილიკუეტა 46), რამოსი, პიკე, ალბა, ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა, პედრო, ტორესი (ვილია 59), მატა (ნავასი 52)

**გაძევება:** პიკე 68

ბრაზილიის ნაკრებმა ესპანელთა განადგურებით კონფედერაციათა თასის გამარჯვებული გახდა. საბოლოო შედეგი მოულოდნელი ნამდვილად იყო, მაგრამ არაკანონზომიერს ვერავინ უწოდებს. სამხრეთ ამერიკელებმა ყველა კომპონენტში აჯობეს მეტოქეს. არაბრაზილიური სტილი, პრესინგი მთელს მოედანზე მასპინძელთა შესრულებით კარგი სანახავი იყო, უფრო უკეთესი კი, მათი შეტევების ნახვა. ბრაზილიელებმა პირველივე წუთებიდანვე მიიტანეს იერიში იკერ კასილიასის კართან და ესპანელებს მეტოქის ნახევარზე გადასვლა უჭირდა.

ესპანელებს პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი შანსი ჰქონდათ, როდესაც პედროს დარტყმული ცარიელი კარიდან გამოიტანა დევიდ ლუისმა. მეორეში ცოტა მეტჯერ შეუტიეს, მაგრამ ბრაზილიელებს საქმე უკვე მოლეული ჰქონდათ.

მატჩი ესპანელთათვის ცუდად დაიწყო. მე-2 წუთზე ფრედმა საჯარიმოში იბრძოლა და დარტყმა წაქცეულმა მოახერხა, შედეგად ბრაზილიის ნაკრები წინ გავიდა.

„ფურია როხას“ დაცვა საცოდავად გამოიყურებოდა, რომ არა კასილასის კარგი თამაში, მასპინძლები მეტ გოლს გაიტანდნენ.

41-ე წუთზე ნეიმარმა უძლიერესი დარტყმით, ანგარიში ორამდე გაზარდა და შესვენებისთვის ეს სერიოზული ჰანდიკაპი იყო.

შეხვედრის მეორე ტაიმის დებიუტი დელ ბოსკეს შეგირდებისთვის საწყისი წუთების ანალოგიური აღმოჩნდა. ფრედმა მესამე გოლი გაიტანა და ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში ტერიტორიული უპირატესობა ესპანელები ფლობდნენ, მაინც ვერ შეძლეს მეტოქისთვის გოლის გატანა.

ბრაზილიელებმა, საჯარიმოში, ხესუს ნავასი წააქციეს, რის გამოც, შეხვედრის მთავარმა არბიტრმა, მასპინძელთა კართან თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ნიშნულთან სერხიო რამოსი მივიდა და მისი დარტყმული პენალტი კარს აცდა. ამის შემდეგ „ფურია როხა“, რამდენჯერმა აშკარა გოლს გადაურჩა.

მატჩის ბოლო წუთებზე ესპანელებმა შეძლეს შოკიდან გამოსვლა და რამდენიმე საგოლე ეპიზოდი შექმნეს, თუმცა ბრაზილიელთა მეკარე ჟულიო სეზარი მოწოდების სიმაღლეზე იყო და მეტოქეს გოლის გატანის საშუალება არ მისცა.

მატჩის შემდეგ ტრადიციულად თასი გადაეცა გამარჯვებულ გუნდს. საუკეთესო ფეხბურთელად ნეიმარი დაასახელეს. ხოლო საუკეთესო მეკარე, ბრაზილიის კარის დარაჯი ჟულიო სეზარი გახდა, მას ოქროს ხელთათმანი გადასცეს.

2013 წლის კონფედერაციათა თასის საუკეთესო ბომბარდირი და „ოქროს ბუცის“ მფლობელი კი, ესპანეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ თავდამსხმელი ფერნანდო ტორესი გახდა. მის ანგარიშზე 5 გოლია. ამდენივე გაიტანა ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელმა ფრედმა, მაგრამ ტურნირზე ტორესს მასზე ნაკლები წუთები ჰქონდა მოედანზე გატარებული და უპირატესობაც ამის გამო მიენიჭა. თუმცა, ესპანელს 4 გოლი ტაიტის ნაკრების კარში აქვს გატანილი და ვინ იცის ტეიტი ბრაზილიელებთან რომ მოხვედრილიყო, ეგებ სამხრეთ ამერიკელს ეჯობნა.



**ფელიპე სკოლარი:**

– ესპანეთი მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონია, რომელმაც ბოლო პერიოდში ყველა ტიტული მოიგო. ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ჩვეული ფეხბურთი ეთამაშათ, მაგრამ გამოგიტყდებით, ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ბრაზილიის ნაკრებთან კიდევ ერთი ტიტული მოვიგე, რაც ძალიან მახარებს. ტურნირის დასრულების შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. გუნდში კარგი ატმოსფერო მუნდიალის დაწყებამდე უნდა შენარჩუნდეს. ამ შემთხვევაში, ჩვენი შანსი კიდევ უფრო გაიზრდება. ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატზე კონკურენცია კიდევ უფრო დიდი იქნება და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

**ვისენტე დელ ბოსკე:**

– ბრაზილიის ნაკრებს ეფექტური გამარჯვება მივულოცო. ფინალში, მეტოქე ჩვენზე შედარებით ძლიერი იყო. ბრაზილიას ფრედის სწრაფი გოლი დიდად დაეხმარა. საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ კონფედერაციის თასით. ფინალის ჩათვლით, ყველა მატჩი მაღალ დონეზე ჩავატარეთ.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ნეიმარი

ფრედი, დავიდ ლუისი, ჟულიო სეზარი – შეგვეძლო რომელიმე მათგანისთვის მიგვეცა საუკეთესოს ტიტული, მაგრამ ნეიმარი მართლაც გამორჩეული იყო. ყველა გოლში მიიღო მონაწილეობა და ამათ გარდა ხშირად ამწვავებდა სიტუაციას მეტოქის კართან.

**ურუგვაი – იტალია 2:2 (2:3პ)**

**სალვადორი.** არენა ფონტე ნოვა

0:1 ასტორი (24), 1:1 კავანი (58), 1:2 დიამანტი (73), 2:2 კავანი (78)

**პენალტები:** ფორლანი 0:0 (მეკარე), აკუილანი 0:1, კავანი 1:1, ელ შაარავი 1:2, სუარესი 2:2, დე შილიო 2:2 (მეკარე), კასერესი 2:2 (მეკარე), ჯაკერინი 2:3, გარგანო 2:3 (მეკარე)

**ურუგვაი:** მუსლერა, ლუგანო, მაქსი პერეირა (ალვარო პერეირა 81), კასერესი, გოდინი, როდრიგესი (გონსალესი 56), გარგანო, არევალო (დიეგო პერესი 107), სუარესი, ფორლანი, კავანი

**იტალია:** ბუფონი, კიელინი, ასტორი (ბონუჩი 96), დე შილიო, დე როსი (აკუილანი 70), მონტოლივო, მაჯო, კანდრევა, ჯილარდინო, დიამანტი (ჯაკერინი 83), ელ შაარავი

ძალიან ბევრს დავობენ, რომ მესამე ადგილისთვის მატჩები გუნდებს არ აინტერესებთ, მაგრამ გულშემატკივრებისთვის ეს ჯახი სასიამოვნო საყურებელი გამოდგა. გუნდებმა მართლაც შესანიშნავი სანახაობა დადგეს ლამაზი გოლების თანხლებით.

იტალიელთა გოლი კურიოზული გამოდგა. სამხრეთამერიკელთა საჯარიმოსთან ჯარიმა დაინიშნა. დიამანტიმ შორეული კუთხისკენ დაარტყა, ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მერე მუსლერას ზურგში და კარის ხაზზე ყველას დავიდე ასტორიმ აჯობა – 0:1.

58-ე წუთზე კავანიმ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ჯანლუიჯი ბუფონმა პატარა სასწაული ჩაიდინა, როცა პირისპირ გასულ ფორლანს ზედიზედ 2 ურთულესი დარტყმა აუღო.

დიამანტიმ ჯარიმა მაინც გაიტანა. 73-ე წუთზე მან ულამაზესი გოლი მიითვალა, რითაც იტალიელები კიდევ ერთხელ დააწინაურა.

5 წუთში არანაკლებ ეფექტური საჯარიმო გაიტანა კავანიმ – ბურთი ცოცხალ კედელს შემოავლო და დუბლიც მიითვალა.

მერე იყო დამატებითი დრო, რომელშიც ურუგვაელები უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდნენ, თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ „სკუადრა აძურამ“ სამიოდ დღის წინათ ურთულესი 120-წუთიანი ნახევარფინალი გადაიტანა ესპანელებთან.

პენალტების სერიაში კი ბუფონმა 3 თერთმეტმეტრიანი მოიგერია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მართლაც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ჯანლუიჯი ბუფონი

იტალიელთა მეკარე მატჩის გმირად იქცა. ჯერ ძირითად დროში რამდენჯერმე იხსნა თავისიანები, პენალტების სერიაში კი თანაგუნდელთა შეცდომების გასწორებას უნდებოდა და „სკუადრა აძურას“ ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**კონფედერაციათა თასი**

**ფინალი**

ბრაზილია-ესპანეთი ........................ 3:0

**მე-3 ადგილისთვის**

ურუგვაი-იტალია ................. 2:2(2:3პ)

**შვედეთი. ალსვენსკა**

ელფსბორგი-სირიანსკა .................. 5:1
დიურგარდენი-ესტერი .................. 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-ვალერენგა ........... 0:1
სტარტი-ალესუნდი ........................ 2:2
ოდ გრელანდი-ჰაუგესუნდი ........... 4:0
ვიკინგი-რუსენბორგი ..................... 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-ტპს .................................... 1:1
კუუპიო-ვპს .................................... 1:0
მიუპა-მარიეჰამნი ........................ 3:1
ჰონკა-იარო .................................... 4:2
ჯჯკ-როვანიემი ............................. 1:1

**აშშ. მლს**

ნიუ იორკი-ჰიუსტონი ..................... 2:0

# ფაჩულიას პორტლენდში იწვევენ, შენგელიას – ბოსტონში

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ, შესაძლოა, კარიერა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსში“ გააგრძელოს. ინფორმაციას ამერიკულ მედიაში წავაწყდით, თუმცა დაზუსტებით საუბარი არ არის, რადგან ანონიმურ წყაროზეა დამყარებული. მათი ცნობით მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და ინტერესი ორმხრივია.

„ბლეიზერსი“ დაცვის მხრივ მაინც და მაინც ვერ გამოირჩევა, ხოლო ქართველი ცენტრის ძლიერ მხარედ სწორედ დაცვაში კარგი თამაში ითვლება, ამდენად, პორტლენდელები ზაზას გადაბირებით ხსენებული ხარვეზის აღმოფხვრას გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფაჩულიამ ბოლო 8 სეზონი „ატლანტა ჰოუქსის“ რიგებში გაატარა და მისი საშუალო მონაგარი 6.8 ქულა და 5.5 მოხსნა იყო.

1 ივლისს ზაზა თავისუფალი აგენტი გახდა, ამდენად, არაერთ საინტერესო წინადადებას უნდა ელოდეს.

ჯერჯერობით, ყველაზე მეტად „ბლეიზერსი“ აქტიურობს, რომელიც ქართველის პარალელურად შეხვედრის გამართვას კრის კამანთანაც გეგმავს. გერმანიის ნაკრების კალათბურთელი გასულ სეზონში „დალას მავერიქსში“ ირიცხებოდა, ახლა კი, ისიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

ნბა-ში მყოფი მეორე ქართველი კალათბურთელი თორნიკე შენგელია კი, შესაძლოა, „ბოსტონ სელტიკსში“ აღმოჩნდეს.

ბოსტონელებსა და შენგელიას ამჟამინდელ გუნდ „ბრუკლინ ნეთსს“ შორის გრანდიოზული ტრეიდს ვარაუდობენ.

გარიგების მთავარი მონაწილეები „სელტიქსის“ ლიდერები – კევინ გარნეტი და პოლ პირსი არიან, რომელთა სანაცვლოდაც, ბოსტონელებმა შენგელიას გარდა, ასევე ფორვარდები კრის ჰამფრისი, რეჯი ევანსი და ჯერალდ უოლესი და მცველი კიტ ბოგანზი უნდა მიიღონ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# პატრიარქმა საქველმოქმედო გამოფენა დალოცა

ეკა ირემაშვილი

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ნელი ბერიას ნამუშევრები საქველმოქმედო გამოფენა დაათვალიერა. „ფერწერა მძივებში" ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელზეც ილია მეორემ მისი ორგანიზატორები დალოცა.**

— ამ გამოფენაზე წარმოდგენილია 35 ხელნაკეთი ფერწერული ნამუშევარი, რომელიც ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. გამოფენა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მწერალთა კავშირის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდისა და საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიხსნა, — განაცხადა ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ.

დეკანოზმა თავმას ჩოხელმა საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში შეკრებილ საზოგადოებას პირველი საავტორო მუსიკალური ალბომის „დედის მონატრება" წარდგინება შესთავაზა. ალბომში შესულია 13 სიმღერა. ალბომის წარდგინების კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „ინანა", „ჰანგები", „ქალდეა", „გერგეთი" და „თორდა".

ცენტრის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა ხელოვნების რესპუბლიკური (საერთაშორისო) ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავები 2013" საზეიმო გახსნა და ნომინანტთა დაჯილდოების ცერემონია.

— ფესტივალი 4 წლის წინ დაფუძნდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და ეძღვნება ლეგენდარული მხატვრის ელენე ახვლედიანის ხსოვნას. ამ ფესტივალის ორგანიზატორია საქართველოს ხელოვანთა კავშირი „ხელოვნები მომავლისთვის", კავშირის თავმჯდომარე და ფესტივალის დირექტორია, ღირსების ორდენის



კავალერი ნინო კუპატაძე. ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სამხატვრო და სახელოვნებო სკოლები, სასწავლებლები და სტუდიები, საერთაშორისო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატები და ნომინანტები, თვითნასწავლი ვირტუოზი მხატვრები. ფესტივალის მიზანია სახვითი ხელოვნების პროპაგანდა, ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების და შემოქმედებითი კოლექტივების წარმოჩენა, ახალი სახეების გამოვლენა და ამ სფეროში მოღვაწე შემოქმედ პედაგოგთა სტიმულირება. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ფერწერული ნამუშევრების, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. ჟიურის ფავორიტები მონაწილეობას მიიღებენ სექტემბერში, საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალში, ხოლო „ვარსკვლავის" მფლობელს „ხელოვანთა კავშირი" საჩუქრად გადასცემს საფესტივალო საგზურს ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, — განაცხადა ცენტრის წარმომადგენელმა და დაამატა, რომ ფესტივალის სპონსორმაა გამომცემლობა პალიტრა ელმა დააწესა საჩუქრები ნომინანტებისთვის 6-დან 26 წლამდე.

ფესტივალის საპატიო ჟიურის წევრები იყვნენ ქეთი მატაბელი (მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი), ლია გორგაძე (ხელოვნებათმცოდნე, ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების ეროვნული გალერეის დირექტორი), თამილა თევდორაძე (ხელოვნებათმცოდნე, ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი). ფესტივალს მუსიკალურ თანხლებას უწევდა საპატრიარქოს წმიდა მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ფოლკლორული ანსამბლი „არსიანი" (პედაგოგები დალი დაბრუნდაშვილი, დავით შანიძე, მალხაზ ქოიავა).

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მოეწყო სტუდია „გუთანი"-ს ახალი ფილმის ჩვენება „გზა ნათელი", რომელშიც ასახულია მთავარანგელოზთა ხატის მოგზაურობა მანგლისისა და წალკის ეპარქიაში. როგორც ნათია გოგუაძემ განაცხადა, ფილმი შეიქმნა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით და მისი ნახვის მსურველებს ჩვენებაზე დასწრება თავისუფლად შეეძლოთ.

ცენტრის დარბაზში მოეწყო ესვანჯიას სახელობის თბილისის იტალიური სკოლა „ცისკარი"-ს ღონისძიება და კონფერენცია თემაზე „ეკლესიისა და ხალხის მსახურების გზა — კიბე მიწიდან ცისკენ მიმავალი", ასევე შემოქმედებითი საღამო „სარწმუნოება — ნათელი მშვიდობისა". ყველა ღონისძიება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს მიეძღვნა.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" ფინალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უმცროსი ასაკის გუნდებმა მთელი საქართველოდან. მათ შორის, „მოწყალე სამარიტელი" — ჩოხატაურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა, „თამარიონი" — შუახევის რაიონის, ფურტიოს საჯარო სკოლა, „იერუსალიმი" — ხობის №2 საჯარო სკოლა; „ჯვარი" — ხაშურის წმიდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა—პანსიონი, „ჯვარი პატიოსანი" — ლენტეხის რაიონის, ჩოლურის საჯარო სკოლა, „ჯვარი ვაზისა" — ხონის №2 საჯარო სკოლა, „სათნოება" — რუსთავის № 22 საჯარო სკოლა.

— ინტელექტუალური კონკურსი „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას" მეხუთე წელია, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება, — განაცხადა ნათია გოგუაძემ.

# „არტ გენი" იწყება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლის მაცხოვრებლებს მათ მიერ შენარჩუნებული ტრადიციებისადმი ინტერესსა და მოთხოვნას. ამისთვის გადავწყვიტეთ დაგვეარსებინა ყოველწლიური სახალხო ფესტივალი „არტ-გენი", რომელიც ყოველწლიურად ტრადიციულად იწყება ექსპედიციებით და ღონისძიებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, დასკვნითი ნაწილი კი იმართება თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, სადაც თავს იყრის ექსპედიციების შედეგად მოძიებული სხვადასხვა დარგის ტრადიციული კულტურა, — აცხადებენ „არტ გენის" დამაარსებლები.

მათივე თქმით, ფესტივალის არსებობის განმავლობაში მის ბაზაზე ჩატარდა ასზე მეტი კონცერტი და ღონისძიება.

— დღეს ის წარმოადგენს ქვეყანაში ერთერთ ყველაზე ცნობილ და ხალხმრავალ ფესტივალს, რომელსაც ყოველწლიურად საშუალოდ 30-40 ათასი ადამიანი ესწრება, — მიაჩნიათ ორგანიზატორებს.

ყოველ წელს ფესტივალი იძენს ახალ აქტუალურ თემას, რომელიც მას თან სდევს შემდგომშიც. ფესტივალის პირველ წელს მისი თემა იყო საოჯახო ფოლკლორი, რომელიც შემდეგ შეცვალა თემებმა ხალხური რეწვა, კავკასიური სახლი, ეკო ტურიზმი, საქართველოს რეგიონები და მიგრაციის პრობლემები, მსოფლიო ტრადიციული კულტურები, საქართველოს ეკოლოგია და ბიო კულტურები, ქართული ენა დამწერლობა, განათლება, ტრადიციული ქართული ოჯახი. წელს კი ფესტივალის დევიზია — დღეს მონარქია საუკეთესო ტრადიციაა.

„არტ-გენის" ბაზაზე იქმნება ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ მოძიებული მასალის აუდიო, ვიდეო და ფოტო არქივი. ამ მიზნით „არტ გენის" ჯგუფს გამოცემული აქვს წიგნი „საქართველოს რეწვის ოსტატები", გადაღებული აქვს ფილმები „ადილა" და „მოგზაურობა ფოლკლორში", ამ ფილმების რეჟისორი გია დიასამიძეა. ფესტივალი ფარგლებში გამოცემულია სიდი „ქართული საოჯახო ფოლკლორი", „არტ-გენი". უკვე მესამე წელია გამოიცემა კვარტალური ჟურნალი „არტ-გენი".

ფესტივალის დამფუძნებლები და ორგანიზატორები არიან თამრიკო მელიქიშვილი (რეწვის და სახვითი ხელოვნების კურატორი, ჟურნალ „არტ-გენის" რედაქტორი), მარია ლანევსკი (ფოტოგრაფი, საერთაშორისო ურთიერთობების კურატორი), ნიაზ დიასამიძე (თანამედროვე ხელოვნების კურატორი), ზაზა კორინთელი, ზუმბა (ტრადიციული ხელოვნების კურატორი), გიორგი ბარამიძე (ფესტივალის ორგანიზების კურატორი), ნიკუშა ანჯაფარიძე (ფესტივალის ორგანიზების კურატორი).

რეგიონებში ჩასვლის შემდეგ, ფესტივალი უკვე საქართველოს დედაქალაქში გადამოინაცვლებს და 14 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით „არტ გენის" დასკვნითი ნაწილი გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მუზეუმში ყოველდღიურად ჩატარდება და თითოეული დღე სამ-სამ ეტაპს მოიცავს. დილიდან 6 საათამდე დაგეგმილი ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების ფასი 3 ლარია, 6-დან 8 საათამდე — 5 ლარი, ხოლო 8-დან ღამის 12 საათამდე — 10 ლარი. ფესტივალში მონაწილეობის მსურველებს ფესტივალის ვებგვერდზე დარეგისტრირება პირველ ივლისამდე შეეძლოთ.

წლევანდელი ფესტივალის თბილისური ნაწილი გაიხსნება 14 ივლისს ხალხური რეწვის, მხატვრობისა და მინანქრის გამოფენა-გაყიდვით, სადაც წარმოდგენილი იქნება მუსიკალური იმპროვიზაციები და მასტერკლასები ყველა დარგში, მოეწყობა ქართული საბრძოლო ხელოვნება „შავფაროსნები"-ს საჩვენებელი გამოსვლა. მსგავსი ღონისძიებები ფესტივალის ყველა დღეს მოეწყობა, რომელსაც შეანაცვლებენ სტუმრები საქართველოს რეგიონებიდან. „არტ გენის" პირველ დღეს თავის შემოქმედებას შეკრებილ მსმენელს წარუდგენს გურია და შიდა ქართლი, მომდევნო დღეებში კი თავის შესაძლებლობებს წარმოაჩენენ სამცხე ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი, ფოთი, ქვემო და ზემო სვანეთი, 17 ივლისს მოეწყობა აფხაზეთის დღე, რაჭა, ლეჩხუმი, კახეთი, თუშეთი, პანკისის ხეობა, მცხეთა მთიანეთი, აჭარა.

რაც შეეხება დასკვნით კონცერტებს, მათში მონაწილეობას მიიღებენ „სუხიშვილები", რობი კუხიანიძე და „აუთსაიდერი", ნიკა კაჩაროვი და მისი ბენდი, ჯგუფები „რეგიონი" და „ფრანი", პოლიფონიური ჯგუფი ესპანეთიდან, ეროვნული სამხედრო საჩვენებელი ორკესტრი, „თამაზ ყურაშვილი და მეგობრები", ნინო ქათამაძე და „ინსაითი", სარდინიული პოლიფონიური ჯგუფი, ჯგუფი „ჩვენებურები", „ზუმბალენდი", ხოლო ფესტივალის დასკვნით დღეს კონცერტს ნიაზ დიასამიძე და „33ა" გამართავს.

„არტ გენი" კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიასა და ევროკავშირთან ერთად სხვადასხვა ქართული კომპანიების მხარდაჭერით ეწყობა. პროექტს ფინანსურად მხარს ევროკავშირი უჭერს.

ეკა ირემაშვილი

# თემურ ჩხეიძე დისკუსიაში ჩაერთვება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შიც არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ღმერთები და გრძნეული არსებებიც მონაწილეობენ. ომის ბედი კი ერთ მაგიურ რიტუალზეა დამოკიდებული, რომლის საიდუმლოც რომანში იმალება, — ამბობს სოფო კილასონია და რომანის მთავარ საიდუმლოს მკითხველისთვის გაუხმაურებელს ტოვებს.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" აქტიურად სთავაზობს წიგნის მოყვარულებს ახალ-ახალ გამოცემებს. ამავე გამომცემლობამ მკითხველს წარუდგინა ანა კორძაია სამადაშვილის რომანი „ვინ მოკლა ჩაიკა". კრებულის პრეზენტასცია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა. პრეზენტაციის მოდერატორობა მუზეუმის ხელმძღვანელმა ლაშა ბაქრაძემ ითავა. ფოტოგრაფმა გურამ წიბახაშვილმა ანა კორძაია-სამადაშვილის ამ ახალი რომანის მიხედვით შექმნა ფოტოსერია, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში გამოიფინა და ამავე მუზეუმს გადაეცა საჩუქრად.

— ამ წიგნში მოთხრობილია მარტოხელა ქალის ისტორია, რომელსაც ერთ დღეს მოკლულს იპოვიან. საკვირველია, მაგრამ ამ მკვლელობის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, გარდა ერთი ადამიანისა — მხოლოდ გამომძიებლისთვის არის საიდუმლო, თუ ვინ მოკლა ჩაიკა. ჩახლართულზე ჩახლართული ამბავია, — გვიამბობს სოფო კილასონია.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ძველბერძენი მოქანდაკე ნეფერტიტის ბიუსტის ავტორი; 2. სპექტრის ერთ-ერთი ძირითადი ფერი; 3. მდინარე აშშ-ში; 4. ალპინისტთა ყინულის სატეხი და სამაგრი რკინის იარაღი; 7. პირფერული ქება; 8. მკურნალობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 14. მდინარე შუა აზიაში; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. საავადმყოფო ძველად საქართველოში; 20. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 5. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. პრეზიდენტის სასახლე რომში; 9. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 10. დუმფარასნაირთა ოჯახის წყალზე მცურავი ყვავილოვანი მცენარე; 11. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა აზიაში; 16. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ირანში; 21. მორიელის ძველი ქართული სახელწოდება; 22. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 23. სამხაზველო ხელსაწყო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. პლომბირი; 6. კიპრეგელი; 9 მინორი; 10. ნასოსი; 11. გნომი; 13. ალამი; 15. კაკადუ; 18. კირხე; 21. ასტეროიდი; 22. ნეოლითი; 23. ბანდურა.

**შვეულად:** 1. კლინიკა; 2. ტირანი; 3. სპონსორი; 4. პირამიდა; 7. სიასამური; 8. მანაგაძე; 12. კლინკერი; 14. დანტისტი; 16. მირანდა; 17. კრამიტი; 19. პინა; 20. ალღო.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მესკია; 2. ასტანა; 3. მასტროიანი; 4. კინტო; 5. არტისტი; 6. ია; 7. ბია; 8. გარანტი; 9. ობი; 10. არაგვი; 11. პანტა; 12. მო; 13. მილიცია; 14. ერა; 15. არენა; 16. ნამყო; 17. ირიგაცია;1 18. ოზმა; 19. ნიტი; 20. მელ; 21. სოტე; 22. არია; 23. ნუკრი; 24. კაა; 25. ბანა; 26. აჩმა; 27. კარაველა; 28. რეფერენცია; 29. ნევადა; 30. სინდისი; 31. სალმონელოზი.

**სურათები:** ბარბარა ბრილსკა; დარენ ფლეტჩერი.

# ამერიკა-ევროკავშირის ურთიერთობას საფრთხე ემუქრება



ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა დანაპირები შეასრულა და ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მორიგი „საიდუმლო“ გამოამჟღავნა: „შპიგელის“ მიხედვით, ამერიკის დაზვერვა ნიუ-იორკში ევროკავშირის მისიასა და ვაშინგტონში ორგანიზაციის საელჩოს უსმენდა.

გამოქვეყნებულ დოკუმენტში 38 საელჩო და მისიაა დასახელებული, რომელიც ისმინებოდა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საელჩოების გარდა, სიაში საფრანგეთის, საბერძნეთის და იტალიის საელჩოებიც არის აღნიშნული.

ამ ინფორმაციის ევროკავშირის ლიდერები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ. საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის განცხადებით, ორგანიზაცია ამერიკულ მხარეს დაუკავშირდა და აღნიშნულის განმარტებაც ითხოვა. აღნიშნულს ევროკავშირის პარლამენტის ხელმძღვანელმა მარტინ შულციც გამოეხმაურია: „მე ძალიან შეშფოთებული ვარ იმ განცხადებით, რომ ამერიკა ევროკავშირის ოფისებს უსმენდა. თუ ეს დამტკიცდა აღნიშნულს ამერიკა-ევროკავშირის ურთიერთობაზე მძიმე გავლენა ექნება“.

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ამერიკის მისამართით ბრალდებებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს საქმიანობები საერთაშორისო პრაქტიკისათვის „უჩვეულო“ არ არის.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის თქმით, მან დაზუსტებით არ იცის სიმართლეს შეეფერება თუ არა ეს ბრალდებები, თუმცა მისი თქმით: „ყველა ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურადაა ჩართული, მრავალ ღონისძიებას ახორციელებს ეროვნული უსფრთხოების დასაცავად და ამისათვის ყველა ტიპის ინფორმაციას იყენებს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ აქ უჩვეულო არაფერია. თუმცა, ამის მიუხედავად მე მეტ კომეტარს აღნიშნულთან დაკავშირებით მანამ არ გავაკეთებ, სანამ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ფაქტები არ მეცოდინება“,-აღნიშნა კერიმ.

ამ ფონზე, სკანდალურ ვებგვერდ „ვიკილიქსის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ დღეებში რამდენიმე მნიშვნელოვან განცხადებას გაავრცელებენ.

აღნიშნულის შესახებ „ტვიტერის“ გვერდზე გამოაქვეყნეს ინფორმაცია, თუმცა არ დაუკონკრეტებიათ რის შესახებ იგეგმება განცხადების გაკეთება.

როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდში „ვიკილიქსი“ ედვარდ სნოუდენისათვის თავშესაფრის მინიჭების საკითხშია აქტიურად ჩართული. ცოტა ხნის წინ ვებგვერდის დამაარსებელმა ჯულიან ასანჟმა განაცხადა, რომ ეკვადორის ხელისუფლებამ სნოუდენს სატრანზიტო დოკუმენტები გადასცა, თუმცა ეს განცხადება მოგვიანებით ეკვადორის მთავრობამ უარყო.

შეგახსენებთ, რომ ვიკილიქსი განსაკუთრებით პოპულარული 2010 წელს გახდა, როდესაც ვებგვერდზე ამერიკის დიპლომატიური სამსახურების მრავალი საიდუმლო დოკუმენტი გამოქვეყნდა.

# ეგვიპტეში „მუსლიმთა საძმოს“ შტაბ-ბინას შეუტიეს




ეგვიპტეში მიმდინარე ანტისამთავრობო დემონსტრაციის მონაწილეებმა ქაიროში, პრეზიდენტ მოჰამედ მურსის პარტია „მუსლიმთა საძმოს“ შტაბ-ბინაზე შეტევა მიიტანეს. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, აქციის მონაწილეები შენობაში შეიჭრნენ, იქაურობა დაარბიეს და ცეცხლი წაუკიდეს.

ამ დროისთვის ათასობით ადამიანია შეკრებილი პრეზიდენტის სასახლის წინ, ტაჰრირის მოედანზეც. დემონსტრანტები მოჰამედ მურსის გადადგომას მოითხოვენ. მოძრაობა „თამმრუდმა“ (ამბოხება) მურსის ორი დღე მისცა თანამდებობიდან მშვიდობიანად წასვლისთვის.

„ჩვენ სამშაბათ საღამოს 5 საათამდე ვაძლევთ დროს მურსის თავისი პოსტის დასატოვებლად. ასევე იმისთვის, რომ მან სახელმწიფო უწყებებს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მომზადების საშუალება მისცეს“, — ნათქვამია „თამმარუდას“ ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაში, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ მურსის გადადგომის მოთხოვნის შესახებ პეტიციას 22-მა მილიონმა ეგვიპტელმა მოაწერა ხელი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიცია ეგვიპტელებს საპროტესტო აქციების გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

ეგვიპტეში, მურსის მოწინააღმდეგეებსა და მხარდამჭერებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად გასულ ღამეს სულ მცირე ხუთი ადამიანი დაიღუპა. ქაიროში ათი ათასობით ადამიანი პრეზიდენტის სასახლესთან და ტაჰრირის მოედანზე შეიკრიბა. მათ ქაიროში, „მუსლიმანთა საძმოს“ შტაბს ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებიც ესროლეს.

არეულობა ეგვიპტეში რამდენიმე დღეა გრძელდება. მოწინააღმდეგეები მურსის ეკონომიკური პრობლემების გადაუჭრელობაში, ასევე მოქალაქეების უსაფრთხოების დაუცველობაში ადანაშაულებენ და მის გადადგომას ითხოვენ.

# მარკ ცუკერბერგი სან-ფრანცისკოში გამართულ გეი-აღლუმს შეუერთდა




მსოფლიოში უმსხვილესი სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი, სანფრანცისკოში გამართულ გეი-აღლუმს შეუერთდა. ცუკერბერგი აღლუმზე „ფეისბუქის“ თანამშრომლების 700-კაციან ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

კომპანიის თანამშრომლები მსგავს ღონისძიებებში ადრეც მონაწილეობდნენ, თუმცა ამჯერად, ცუკერბერგმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თანამშრომლებისთვის თავად ეხელმძღვანელა.

გარდა აღლუმში მონაწილეობისა, „ფეისბუქში“ ლგბტ-საზოგადოებამ, შტაბ-ბინა საკუთარი სიმბოლიკებით მორთო.

თავის მხრივ, ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მეწვრთნელი ლუის ვან გაალი ამსტერდამში, 3 აგვისტოს დაგეგმილ გეი-აღლუმში მიიღებს მონაწილეობას. ის ფეხბურთელებსა და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთან ერთად, გიგანტური საფეხბურთო ბუცის ფორმის ნავით გაცურავს.

ამ სახით ფედერაცია მხარადაჭერას გამოხატავს პროგრამა „ფეხბურთი ყველასათვის“ მიმართ, რომელიც ფეხბურთში გეი-მოთამაშეების მიმართ ტოლერანტობის ამაღლებისკენ არის მიმართული.

„ფეხბურთელები და მწვრთნელი აჩვენებენ, რომ ჩვენს სპორტში ღია და უსაფრთხო გარემოა, სადაც ყველას შეუძლია იყოს ის, რაც არის. და ეს არა მხოლოდ მოთამაშეების, არამედ სპორტის ინტერესებშია“, — განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხაელ ვან პრააგმა.

ჯერ-ჯერობით უცნობია იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც გეი-აღლუმში მიიღებენ მონაწილეობას.

ვან გაალი ჰოლანდიის ნაკრებს 2012 წლის ზაფხულიდან ხელმძღვანელობს. წინათ ის თანამშრომლობდა ისეთ საფეხბურთო გუნდებთან, როგორებიცაა „აიაქსი“, „ალკმაარი“ და „ბავარია“.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კი ხელი მოაწერა ცვლილებებს „ბავშვების ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის საზიანო ინფორმაციისგან დაცვის შესახებ“ კანონში.

კანონის მიხედვით, ამიერიდან არასრულწოლვნებში არატრადიციული სექსუალური კავშირების პროპაგანდა იკრძალება.

აღნიშნული კანონის დარღვევა 4-დან 5 ათასამდე რუბლის, თანამდებობის პირებისთვის 40-დან 50 ათასამდე რუბლის, ხოლო იურიდიული პირებისთვის 800 ათასიდან 1 მლნ რუბლამდე ოდენობის ჯარიმასა და 90 დღით უფლებამოსილების შეჩერებას ითვალისწინებს.

# ნიუ-იორკში ვერტმფრენმა ავარიული დაჯდომა წყალზე განახორციელა



ვერტმფრენმა იძულებითი დაჯდომა ნიუ-იორკის მანჰეტენის რაიონში, მდინარე ჰუძონზე განახორციელა.

მთავარი ამერიკული მეგაპოლისის სახანძრო დაცვის სამსახურმა განაცხადა, რომ ვერტმფრენში ხუთი ადამიანი იმყოფებოდა, იტყობინება „ენბისი ნიუ იორკი“.

საგანგებო შემთხვევა ადგილობრივი დროით შუდღეს მოხდა. სახანძრო დეპარტამენტმა „ტვიტერში“ განაცხადა, რომ პილოტის და ოთხი მგზავრის ნაპირზე ევაკუაცია მოახდინეს, ისინი უმნიშვნელოდ დაზარალდნენ და ჰოსპიტალიზაციაზე უარი თქვეს.

მომხდარის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

# ხორვატია ევროკავშირის წევრი გახდა




ხორვატია ევროკავშირის 28-ე წევრი სახელმწიფო იქნება. გაწევრიანების ცერემონია დღეს დასრულდება.

„ხორვატიის გაწევრიანება არის კიდევ ერთი ქვაკუთხედი ევროკავშირის მშენებლობის პროცესში. ეს ასევე ევროკავშირის გარდამქმნელი ძალის ცხად მაგალითს წარმოადგენს: ორი დეკადის წინ კონფლიქტისგან დაუძლურებული ქვეყანა ახლა სტაბილური დემოკრატიის მქონე, ევროპული სტანდარტების მიმდევარი და ევროკავშირის წევრობისათვის საჭირო ვალდებულებების შემსრულებელი სახელმწიფოა“,— ნათქვამია ევროკავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ოფიციალური ცერემონია გუშინ, ზაგრებში 23 საათზე დაიყო. რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. დღეს, ხორვატიის გაწევრიანების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები ღია იქნება.

ხორვატიის გაწევრიანების ცერემონიას ევროკავშირის მხრიდან ვეროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზო, ვიცე-პრეზიდენტი ვივიან რედინგი, ევროკომისარები შტეფან ფულე და ნევენ მიმიკა ესწრებიან.

ხორვატია 1991 წლიდან, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2003 წელს მან ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ თანხმობა განაცხადა.

ქვეყნის ყველა მსხვილი პოლიტიკური პარტია და სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, როგორც „ბი-ბი-სის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, დიდი სიხარული რიგით მოქალაქეებს შორის არ შეიმჩნევა. ქვეყანაში უმუშევრობის დონე რეკორდულ ნიშნულს აღწევს. ხორვატიას მოუწია ძალიან მძიმე რეფორმების გადატანა და ამის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რიგითი ხორვატების აღტაცება ევროკავშირით, ოდნავ გაფერმკრთალებულია.

ევროკავშირი გაფართოების პოლიტიკას განაგრძობს. ხორვატია ალიანსის 28-ე წევრი იქნება. ევროპის გაერთიანება საკუთარ რიგებში მისაღებად ოფიციალურ მოლაპარაკებებს იწყებს სერბეთთან და ასევე აპირებს, კოსოვოს მიანიჭოს ასოცირებული წევრის სტატუსი.

გარდა ამისა, შემოდგომაზე თურქეთის ალიანსში გაწევრიანების მოლაპარაკებების ახალი რაუნდი დაიწყება.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ვალერი და დოდო აბრალავები თანაგრძნობას უცხადებენ ლამარა შუბითიძესა და ლავრენტი ჭუმბურიძეს დედისა და სიდედრის

**ნინა გელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ყოფილი მეღვინეობის დეპარტამენტ „სამტრესტის“ სპეციალისტები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი

**ალექსანდრე ქურდაძე**

და თანავუგრძნობთ გარდაცვლილის დიდ ოჯახს.

---

ლემონჯავების საგვარეულო მწუხარებით იუწყება

**თამარ ანტონის ასულ ლემონჯავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.
საგვარეულოს წინამძღოლი პარმენ ლემონჯავა

---

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ამირან გაფრინდაშვილს ძმის

**ანზორ გაფრინდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**სამშაბათი 2 ივლისი**

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.35 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჟორიკანა„ 17.00 „ჩვენი ეზო„ 18.00 დ/ფ „ადამიანი პლანეტა„ 19.05 ტ/სერ „მაგდა ემი„ 21.00 „აქცენტები„ 22.00 ტ/სერ „ნიკატა„ 23.00 მხ/ფ „ილბლიანი„ (ე.ბრანა) 01.10 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 11.00, 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 4-5 ნაწ. 14.00 დ/სერ. „მეცნიერება ფილმებში„ 7 ნაწ. 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე) 21.30 „არგუმენტების დრო„ (პ/ე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: „ნანა ცინცაძე„ 2 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 სერ. „ლიკვიდაცია„ 6 სერ. 23.00 მხ/ფ. „შეცვლა„ (ჯ.გოლდბლუმი) 01.20 მხ/ფ. „დაბრუნება ბრაიდსჰედში„ (ე. ტომპსონი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „ბრიმი„ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.50 სპექტაკლი - „პატარა უფლისწული„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ხევისბერი გოჩა„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.00 დოკ/ფ „ხიდი„ 16.35 კონცერტი - ახალგაზრდული ორკესტრი ლევ მარკიზის ხელმძღვანელობით 18.10 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.55 კარაბადინი

მაესტრო 7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 11.00, 22.20, 1.30 მაგთიფანი 11.30, 22.00, 0.30, 5.30 „ყოველდღიური ამბები„ 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 16.00 სერიალი „შტორმი„ 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „1001 ღამე„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6509 | ევრო — 2,1566 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5160 | 100 რუსული რუბლი — 5,0472 |

## ამინდის პროგნოზი 2 ივლისისთვის





მალე! მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

სერია „ეს სამყარო“ „ახალ თაობასთან“ ერთად



გამოგონებები | რაინდები და ციხე-კოშკები | მწერები და ობობები | მფრინავები | ოკეანეები | პოლარული სამყარო | რეპტილიები | ტროპიკული ტყეები | ზვიგენები

9 ივლისიდან!

ლეგენდარული „მგლის ბილიკი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


## ბრაზილიაში ჩემპიონობის ნაცვლად ჯანდაცვა უნდათ



ბრაზილიის ნაკრები კონფედერაციათა თასის გამარჯვებული კი გახდა, მაგრამ რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს ქვეყნის მოსახლეობის დიდად არ ეპიტნავა და მაშინ, როდესაც „მარაკანაზე“ ბრაზილია ესპანეთს ანადგურებდა, ბრაზილიელი ხალხი კონფედერაციათა თასის ჩატარებას აპროტესტებდა.

ფინალის დღეს, მანიფესტანტებმა რიო დე ჟანეიროს ქუჩებში მსვლელობა მოაწყვეს. ქვეყნის პოლიციამ „მარაკანას“ სტადიონი ალყაში მოაქცია, რათა იქ მყოფი გულშემატკივრები, გუნდები და ოფიციალური პირები დაეცვა. დემონსტრანტებმა სტადიონის შესასვლელიდან დაახლოებით 300 მეტრში პოლიციელთა კორდონზე იერიში მიიტანეს და თამაშის ჩაშლას შეეცადნენ. ისინი ქვებისა და ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილის“ გამოყენებით ეცადნენ წინააღმდეგობის დაძლევას, მაგრამ პასუხად ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები მიიღეს.

გეტყვით, რომ საპროტესტო აქციები მთელი ბრაზილიის მასშტაბით, კონფედერაციათა თასის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, 6 ივნისს დაიწყო. დემონსტრანტები ტურნირის ორგანიზებისთვის გაწეულ ხარჯებს აპროტესტებდნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ კონფედერაციათა თასისა და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზებისთვის გაწეული ხარჯები, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გაუმჯობესებას უნდა მოხმარებოდა.

ბრაზილიურმა გამოცემებმა გამოკითხვა ჩაატარეს და აღმოჩნდა, რომ დემონსტრანტების მოთხოვნებს, მხარს ქვეყნის მოსახლეობის 75 პროცენტი უჭერს.

მსგავსი საპროტესტო აქციები, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე და მისი მსვლელობისას იგეგმება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## „არტ გენი“ იწყება

**4 ივლისს ფესტივალი „არტ გენი“, რომელსაც მისი ერთგული დამსწრე საზოგადოება წლიდან წლამდე მოუთმენლად ელოდება, იწყება. ტრადიცია არც წელს დაირღვევა და „არტ გენი“ ჯერ საქართველოს რეგიონებს ესტუმრება, ხოლო შემდეგ უკვე დასკვნით საღამოებს თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ გამართავს.**

ფესტივალის ეგიდით პირველი კონცერტი 4 ივლისს აღმოსავლეთ საქართველოში გაიმართება. თელავში ნადიკვარის პარკში თავს მოიყრის ადგილობრივი ხალხური და თანამედროვე შემოქმედების ანსამბლები, მოეწყობა რეწვის და სახვითი ხელოვნების გამოფენები. მასში მონაწილეობას ადგილობრივ ანსამბლებთან და შემსრულებლებთან ერთად, თბილისიდან ჩასული სტუმრებიც მიიღებენ. კარი გაიღება 12 საათიდან და საღამოზე დასწრება უფასოა.

7 ივლისს არტ-გენი ჩავა დასავლეთში, მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში, დადიანების მარნის ტერიტორიაზე, სადაც ასევე თავს მოიყრიან რაიონის ხალხური და თანამედროვე შემოქმედებითი კოლექტივები, მოეწყობა კონცერტები, გამოფენები და იმუშავებს კვების ობიექტები. ამ შემთხვევაშიც კარი გაიღება 12 საათიდან და ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია.

— ამ ფესტივალის ძირითადი მიზანია საქართველოს ხალხური და ტრადიციული შემოქმედების პოპულარიზაცია, ამ დარგის უცნობი და ნაცნობი ნიმუშების მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა. ასევე ყოველი მოძიებული მასალის დაარქივება და შენახვა მომავალი თაობებისთვის. ჩვენი ფესტივალის ფარგლებში ეწყობა კონცერტები და წარმოდგენები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით. ასევე ტარდება ხალხური რეწვისა და სახვითი ხელოვნების გამოფენა-გაყიდვები. ჩვეულებრივ ფესტივალი იწყება საქართველოს რეგიონებიდან და ტრადიციულად იხურება თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფესტივალი „არტ-გენი“, მისი არსებობის მანძილზე არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დასწრებადი ღონისძიება საქართველოში, რომელიც ღიაა ყველა თაობისთვის. ასე რომ ყველას გელით „არტ-გენზე“, — აცხადებენ ფესტივალის ორგანიზატორები.

ჯგუფი „არტ-გენი“ 9 წლის წინ მეგობრების ჯგუფის მიერ შეიქმნა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული სოციალურ-კულტურული პრობლემების დაფიქსირება და მათი წარმოჩენა.

— თავიდანვე ჯგუფის პრიორიტეტად განისაზღვრა საოჯახო ფოლკლორის და სხვადასხვა ძირძველი ტრადიციების მოძიება და მათი პოპულარიზაცია. აგრეთვე ფესტივალის სულისჩამდგმელთა სურვილი იყო აღედგინათ ხიდი ქალაქსა და სოფელს შორის, ჩამოეტანათ სოფლიდან ქალაქში ტრადიციული კულტურა, რაც ერთის მხრივ ახალგაზრდობაში გააღვივებდა ინტერესს მათი ისტორიისა და ტრადიციების მიმართ, მეორეს მხრივ დაანახებდა სოფ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ

## ასტროპროგნოზი 2 ივლისისთვის

**ვერძი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, განაგრძეთ ჩვეული ცხოვრება. **სასწორი** — არ გაფლანგოთ ფული, ხვალისთვის შემოინახეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — კრიტიკის ქარცეცხლში ხართ გახვეული, ფრთხილად იყავით. **თევზები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი; 2. აფრიკული შხამიანი ბუზი; 3. ძმებ ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ნიშა კედელში, სადაც საწოლია გამართული; 6. სპორტის სათამაშო სახეობა; 9. უწყინარი ხასიათის მსუბუქი დაცინვა; 13. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 14. საღამოს სადილი; 15. მფრინავი ძუძუმწოვარა ცხოველი; 17. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 18. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 20. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი.

**თარაზულად:** 1. შინაური კურდღელი; 5. სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი ზღვის დაბალი თხელწყლიანი ნაპირი; 7. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 8. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 10. ძვირფასი სარეწაო თევზი; 11. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში; 12. ამერიკული სიგარეტი; 16. დიდი ნემსი; 17. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 19. ძვირფასი ლითონი; 21. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 22. შინაური ცხოველის კისერზე შებმული ჟღარუნა; 23. ფირმის, წარმოების ვალებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა; 24. დაქირავებული მკვლელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## თემურ ჩხეიძე დისკუსიაში ჩაერთვება

**რეჟისორი თემურ ჩხეიძე დისკუსიაში ჩაერთვება, რომელიც 2 ივლისს სამეფო უბნის თეატრში გაიმართება. თეატრის სივრცეში „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ახალი წიგნის პრეზენტაციას გეგმავს, შეკრებილ საზოგადოებას წარედგინება ავგუსტ სტრინდბერგის რომანი და პიესები. როგორც გამომცემლობის წარმომადგენელი სოფო კილასონია აცხადებს:**

— ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ახალ წიგნში შესულია სტრინდბერგის რომანი „ჰემსელები“, რომელიც ავტორმა 1887 წელს დაწერა და ცნობილი პიესები „ფრეკენ ჟული“, „მასზე ძლიერი“ და „ზმანება“. პრეზენტაციაზე შედგება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მთარგმნელები ლიკა ჩლაიძე, დავით გაბუნია, ბაკურ სულაკაური და რეჟისორები თემურ ჩხეიძე და დათა თავაძე. ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია.



სოფო კილასონიას ინფორმაციით, ამავე გამომცემლობამ ორიოდე დღის წინ გამართა გიორგი მაისურაძის ახალი რომანის „ქილ თბილისი“ პრეზენტაცია.

— „ყველაზე დიდი საიდუმლო, რომელიც კაცობრიობის ისტორიიდანაა ამოშლილი და მხოლოდ ქარაგმებსა და იგავებში იმალება, თბილისის დაარსების ამბავია. ყველა ლეგენდა, ისტორიული კვლევა-ძიება თუ არქეოლოგიური აღმოჩენა ერთ მიზანს ემსახურება: რაც შეიძლება უკეთ გადაიმალოს და გასაიდუმლოვდეს სიმართლე თბილისის შესახებ. სიმართლე კი ისაა, რომ თბილისი არ დაარსებულა იქ, სადაც ლეგენდიდანაა ცნობილი და, საერთოდაც, მთელი ძველი თბილისი სხვა ქალაქია, ცრუ-თბილისია და მას ნამდვილ თბილისთან საერთო არაფერი აქვს. ზოგიერთი მცდარი მოსაზრების თანახმად, ცრუ თბილისი იმიტომ ააშენეს, რომ ნამდვილი თბილისი გადაემალათ“, — მოგვითხრობს გიორგი მაისურაძის ფანტასმაგორიული რომანი „ქილ თბილისი“.

— შეთქმულთა ერთი ორდენი საუკუნეების განმავლობაში იბრძვის სამართლიანობის აღდგენისა და ნამდვილი თბილისის დაბრუნებისათვის. ეს ბრძოლა ბოლოს ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდება, რომელ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე